ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

23 მაისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
სალვადორ დალი
* კფჰბ




js[if,fsb7 @# vfbcb7 @)!@ 1121 (5811) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი: საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ!“




გვ.2

## გიორგი თარგამაძეს ჰომოფობიაში ედება ბრალი

ქდმ-ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგია



გვ.3



## კობა ხაბაზი: ოპოზიცია ძალლივით წკავწკავებს

გვ.3

ჯონდი ბაღათურიამ პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოითხოვა

## საქართველოს ნატოში შესვლას ხელს ნაციონალები უშლიან



## ნანა კაკაბაძე: ამ ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ეზეიმება“

გვ.2



## დავით ბაქრაძე საუდის არაბეთის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა



გვ.5



## ხელისუფლებას არ სურს ჩაატაროს გამჭვირვალე არჩევნები

გვ.4

## ვისაც „ფონდი ქომაგი“ დაეხმარება, დაიჭერენ?



რაში დაადანაშაულებს ნათია მოგელაძე ბუტა რობაქიძის დედას

## ამერიკა საქართველოს სუვერენიტეტს მყარად უჭერს მხარს

გვ.7



## სახალხო დამცველს „ქრისტიან-დემოკრატების“ ინიციატივა მიუღებლად მიაჩნია

გვ.5






გვ.5

## რა სიგნალი გაიგზავნა ჩიკაგოდან?!

ISSN 1987-9385

7 საააკაშვილი ტყვეობაშია მოქცეული

10 ეროვნულმა მუზეუმმა წლიური ანგარიში წარმოადგინა

8 კინო იაფდება

7 როგორ მოხდება უძრავი ქონების შეფასება

კეჰ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# ბიძინა ივანიშვილი: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ!“

შალვა ჯოხაძე

**პარლამენტში გუშინ დამტკიცებული საკონსტიტუციო ცვლილებებით, ბიძინა ივანიშვილს ერთიანად მოუგვარდა ყველა პრობლემა — არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას**

და მაღალი თანამდებობის დაკავებასაც შეძლებს. თუმცა, ივანიშვილი მის გამო კონსტიტუციის ჩასწორებას თავიდანვე არასწორ ნაბიჯად აფასებდა და დღესაც იმავე აზრზე რჩება. გუშინვე ივანიშვილმა სააკაშვილს ღია წერილით მიმართა.

– იმედს ვიტოვებდი და საჯაროდაც ვაცხადებდი, რომ ეს უგუნური გადაწყვეტილება საბოლოოდ არ იქნებოდა მიღებული, მაგრამ მორჩილმა საპარლამენტო უმრავლესობამ არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და მორჩილად აუწია მას ხელი. ამასთანავე, თქვენი პოლიტიკური გუნდის წევრები კონსტიტუციური ცვლილებების მიზნად ასახელებენ ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალების მოცემას, ხოლო მიზეზად – თქვენ მიერ ჩამორთმეული საქართველოს მოქალაქეობის ხელახლა მისაღებად ჩემ მიერ თითქოსდა არასწორი გზის არჩევას

გასაგებია, რომ თქვენ იძულებული ხართ, ანგარიში გაუწიოთ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისა და საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის ერთსულოვან მოთხოვნას – მომცეთ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. მაგრამ თქვენ ვერ მოახერხეთ ჩადენილი შეცდომის (მოქალაქეობის ჩამორთმევა) გამოსწორება ცივილიზებული, კანონიერი და ღირსეული გზით (ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მონიჭება) და ახალ, გაცილებით მძიმე შეცდომას უშვებთ. ამ ცვლილებების მიხედვით, თუ პირს, რომელიც ერთდროულად ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეცაა და საქართველოს მოქალაქეც, არ შეუძლია გახდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ხოლო თუ იგივე პირი უარს იტყვის საქართველოს მოქალაქეობაზე, მაშინ მას შეუძლია გახდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამგვარი აბსრუდი, მართლაც რომ, პირველია მსოფლიოში, – მიმართავს ივანიშვილი სააკაშვილს.

ბიძინა ივანიშვილი აღნიშნავს, რომ ეს კონსტიტუციური ცვლილება არის სახელმწიფოებრიობის და კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო ისეთი ქმედება, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოში არ მოიპოვება. მეტიც, იგი თავისი სამართლებრივი არსით და პოლიტიკური კონტექსტით სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასია.

– კონსტიტუცია მართლაც ერთი პირისთვის და ერთი პირის გამო იცვლება, მაგრამ ეს ერთი პირი ვარ არა მე, არამედ ხართ თქვენ – სწორედ თქვენს პოლიტიკურ შიშებს შეეწირა ჩემი მოქალაქეობა და ახლა უკვე ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი და პრესტიჟი ეწირება თქვენსავე ბავშვურ ახირებას და პროპაგანდისტულ ხრიკებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ უკანონოდ ჩამომართვით საქართველოს მოქალაქეობა, შემდეგ უკანონოდ მითხარით უარი ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მონიჭებაზე და ახლა ჩემი სარჩელების განხილვის გაჭიანურებით არ მაძლევთ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსთვის დროულად მიმართვის საშუალებას, მე არ ვაპირებ ჩემი პოლიტიკური უფლებები კონსტიტუციის შეურაცხყოფისა და სახელმწიფოს ნგრევის ფასად მოვიპოვო. მე და ჩემი გუნდის წევრებს პოლიტიკური უფლებები სახელმწიფოს აღმშენებლობისა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისთვის გვესაჭიროება და არა პირიქით. ამიტომ, მოგმართავთ, არ მოაწეროთ ხელი კონსტიტუციურ ცვლილებებს. ამით თქვენ გადაარჩენთ ქვეყნის პრესტიჟს და მის კონსტიტუციურ ფუნდამენტს, რომელიც შეუდარებლად მაღალი ღირებულებაა, ვიდრე თქვენი, ჩემი და ყველა პოლიტიკური ძალის აწმყო თუ მომავალი, ერთად აღებული. ამასთანავე, მე არ ვაპირებ ახირებაში გაგეჯიბროთ და მზად ვარ მოგცეთ დაშვებული შეცდომების გამოსწორების კიდევ ერთი საშუალება – ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად მოგმართოთ ისეთი განცხადებით, რომელზეც თქვენი პოლიტიკური გუნდის წევრები და საჯარო მოხელეები მიუთითებენ, – აცხადებს ივანიშვილი.

თუ სააკაშვილი არ გაითვალისწინებს მის რჩევას და უარს არ იტყვის კონსტიტუციურ ცვლილებებზე, მაშინ ივანიშვილი არ გახდება ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თანამონაწილე, არ ისარგებლებს ამ კონსტიტუციური ცვლილებებით და არ მიიღებს მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში; ივანიშვილის თქმით, ის გააგრძელებს აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას იმ ფარგლებში, რასაც საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის.

– მირჩევნია, კანონის ზღვარზე ვიარო, ვიდრე თქვენთან ერთად გავიდე ანტისახელმწიფოებრივ და ანტიკონსტიტუციურ სივრცეში; ყველა კონსტიტუციურ გზას გამოვიყენებ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთვის და საბოლოოდ მაინც შევასრულებ ქართველი ხალხისათვის მიცემულ ყველა დანაპირებს. იმედს ვიტოვებ, რომ თქვენ, თქვენი გუნდის წევრები და თქვენი მრჩევლები მოუხმობთ კეთილგონიერებას და სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ეს გადაწყვეტილებები მე არ მჭირდება, ქვეყანას სჭირდება, – აცხადებს ივანიშვილი.




# საქართველოს ნატოში შესვლას ხელს ნაციონალები უშლიან

გულიკო ბალაძე



**გუშინ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ქართული აკადემია“ პრესკონფერენცია გამართა და მოუწოდა საზოგადოებას, 27 მაისის აქციას შეუერთდნენ. ნუკრი ქანთარიას განცხადებით, „ქართული აკადემია“ უერთდება ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მოწოდებას, რომელიც 27 მაისს აქციაზე იწვევს მთელ ქართველ ერს.**

– ჩვენ ვუერთდებით ბატონ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მოწოდებას, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემის გადაჭრის დასაწყისი გახლავთ 27 მაისი, 3 საათი, თავისუფლების მოედანი. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს კოლეგებს, თანამოქალაქეებს, ჩვენს თანამოაზრეებს – მხატვრებს, მეცნიერებს, მსახიობებს, მწერლებს, მობრძანდნენ 27 მაისს, 3 საათზე თავისუფლების მოედანზე, რომ მტერსაც და მოყვარესაც დავანახოთ, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა ერთიანი ძალით შევცვალოთ არსებული ხელისუფლება არჩევნების გზით.

„ქართული აკადემიის“ მიმართვა ჟურნალისტებს მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა გააცნო, რითაც ეს ორგანიზაცია ბიძინა ივანიშვილის მოწოდებას გამოეხმაურა.

მიმართვაში ნათქვამია, რომ საჭიროა საქართველოში დამთავრდეს ვირტუალურ–პროპაგანდისტული „წარმატებები“ და „კეთილდღეობა“.

– იმისათვის, რომ საქართველოში დასრულდეს ვირტუალურ-პროპაგანდისტული „წარმატებები“ და „კეთილდღეობა, შეიქმნას დაბალანსებული სახელისუფლებო შტოები, გაჩნდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივა;

დამკვიდრდეს სამართლიანი სასამართლო და დამოუკიდებელი მედია, თავისუფალი ბიზნესგარემო, შეიქმნას და გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, რათა ქვეყანა გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი;

დაჩქარდეს საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში, აღდგეს მეცნიერებისა და კულტურის დარბეული კერები, ჯანდაცვა და განათლება გახდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ახალგაზრდობას შეეძლოს საფუძვლიანი და კონკურენტული განათლების მიღება;

აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და გლეხს შეეძლოს საკუთარი შრომით ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა, უზრუნველყოფილ იქნას ხანდაზმულთა და ვეტერანთა ღირსეული ცხოვრება, ერთი სიტყვით, ქვეყანას დაუბრუნდეს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივა, საჭიროა ხალხმა გამოავლინოს მტკიცე ნება, დაუმტკიცოს საკუთარ თავსა და საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ თვითონაა ქვეყნის პატრონი და არა თავისი არსით ნეობოლშევიკური, ძალადობასა და ხალხის ინტერესთა დათრგუნვაზე ორიენტირებული ერთპარტიული ხელისუფლება, – ნათქვამია მიმართვაში.

„ქართული აკადემია“ მოუწოდებს თანამოქალაქეებს, „მონაწილეობა მიიღონ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ 27 მაისს თავისუფლების მოედანზე დაგეგმილ შეკრებაზე, რათა ეს თარიღი ერთობლივად ვაქციოთ ახალი, კეთილდღეობისა და სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული, საქართველოს მშენებლობის ათვლის წერტილად“.

ნიშანდობლივია, რომ „ქართულ აკადემიას“ მიაჩნია, სწორედ ამ ვირტუალურ-პროპაგანდისტული „წარმატებების“ და „კეთიდღეობის“ დასრულება მოგვცემს რეალურ შანსს, ნატოში გაწევრიანების დასაჩქარებლად, რადგან საქართველოს ხელისუფლება უშლის ხელს ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას თავისი არადემოკრატიული ბუნებით.

თემურ ნანეიშვილის განცხადებით, ჩნდება საქართველოს გადარჩენის შანსი. „იმის თქმა, რომ რაღაც მოხდება განსაკუთრებული, ეს მოაზროვნე ადამიანებმა უნდა შევცვალოთ“. იწყება წინასაარჩევნო კამპანია. როგორც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, არავითარი მოწოდებები 27 მაისს გადადგომის თაობაზე არ გაკეთდება და არც არის საჭირო. იქნება ახალი, სრულიად ორიგინალური, დასავლური ტიპის, ცივილიზებული სახის წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისის დასაწყისი და ამაში ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. განსაკუთრებით მოვუწოდებ ახალგაზრდებს, შემოგვიერთდნენ. ეს ყველაფერი მათთვის კეთდება. მათ უნდა იცხოვრონ დემოკრატიულ სახელმწიფოში.

თემურ ნანეიშვილის თქმით, ანეკდოტური ამბავია, რომ ნატოს სამიტზე ყურადღება გამახვილდა საქართველოში ნორმალური არჩევნების ჩატარებაზე.

– ანეკდოტური ამბავია, ნატოს სამიტი დამთავრდა და მის დეკლარაციაში აისახა საქართველოში დემოკრატიის დამყარების მოთხოვნა.

თემურ ნანეიშვილმა ასევე განაცხადა, რომ „ქართული აკადემია მომავალ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს.

27 მაისს მოსალოდნელ პროვოკაციებთან დაკავშირებით, რომელზეც „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ყურადღება გაამახვილა, ნუკრი ქანთარია ამბობს, რომ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

– ამ ხელისუფლებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ იმედი მაქვს მშვიდობიანად ჩაივლის, რადგან მთელი საერთაშორისო საზოგადოების თვალი მოპყრობილი იქნება 27 მაისის აქციისკენ. ამიტომ არა მგონია, ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ პროვოკაციები გაბედოს. თუმცა, ამისთვის მზად უნდა ვიყოთ, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

***– რატომ უნდა გამოვიდეს 27 მაისს ხალხი აქციაზე?***

– იმიტომ, რომ ოქტომბერში დამთავრდეს სააკაშვილი, მაგრამ არა ერთ დღეში.

***– ხელისუფლების რეაქცია როგორი იქნება, თუ მასობრივად გამოვა ხალხი აქციაზე და დაინახავენ, რომ „ქართულ ოცნებას“ ქართველი საზოგადოება მხარს უჭერს?***

– ხელისუფლება 27 მაისს ღამით ვერ დაიძინებს. გაუჭირდება ძილი.

***– ხელისუფლება ამით მიხვდება, რომ მან ქართველი საზოგადოების ნდობა დაკარგა?***

– ხელისუფლებამ დიდი ხანია იცის, რომ მას ქართველი საზოგადოების ნდობა დაკარგული აქვს, მაგრამ არ უნდა, რომ დაიჯეროს.

***– რას მიაწერთ იმას, რომ ხელისუფლება თავს გვაჩვენებს, რომ ის მხნედაა?***

– ნაციონალები ცდილობენ შეინარჩუნონ სახე. ამიტომაც არის საჭირო, რომ 27 მაისს ყველა მოქალაქე უშიშრად გამოვიდეს და ეს მსოფლიომ დაინახოს.

***თემურ ნანეიშვილი კითხვაზე, ელოდება თუ არა ის 27 მაისს ხელისუფლებისგან პროვოკაციას, პასუხობს:***

– აქციის ორგანიზებაში „ქართული აკადემია“ არ მონაწილეობს, მაგრამ მხარდამჭერები ვართ. სააკაშვილის ხელისუფლება არის პროვოციების დიდოსტატი და ამ აქციის გადაფარვის მცდელობაც შეიძლება ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლება პროვოკაციების დიდოსტატია და ისე არ მოისვენებენ, რამე პროვოკაცია არ მოახდინონ. ამის მცდელობა იყო. პროვოკაცია გახლდათ ის სიტუაცია, რაც შექმნეს, 6 მაისიდან დაწყებული დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით. შეექმნათ წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა ქართველ საზოგადოებას აზერბაიჯანის საელჩოსთან გაემართა საპროტესტო აქცია, მაგრამ ეს არ ჭამა ქართველმა საზოგადოებამ – ძალიან ორგანიზებული აქცია მოაწყო და მე მგონი აზერბაიჯანის საელჩოსთან არ მისულა. რა თქმა უნდა, ეს 27 მაისის გადაფარვის მცდელობა იყო. კიდევ იქნება მცდელობა, რომ რამენაირად გადაფარონ, მაგრამ არ გამოუვათ. ჩიკაგოს სამიტმა თავის დეკლარაციაში ჩაწერა, რომ საქართველოში უნდა ჩატარდეს ნორმალური არჩევნები. ე.ი. გამოდის, რომ ჩვენს ხელისუფლებას თვითონ აქვს წინააღმდეგობა და წინააღმდეგობას ქმნის ნატოში შესვლის საკითხში. რა უშლის ხელს, რომ ჩაატარონ ნორმალური წინაარჩევნო კამპანია, მედია გაათავისუფლონ.

***– პირიქით რატომ იქცევიან, რატომ არ შეუძლიათ ნორმალური არჩევნების ჩატარება?***

– ძალაუფლებას კარგავენ. მე, მაგალითად, კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილზე მთელ ქვეყანას გავაგებინებდი, რომ ნატოში შესვლის გზაზე წინააღმდეგობას ქმნის ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც არ სურს ჩაატაროს ნორმალური არჩევნები.

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გიორგი თარგამაძეს ჰომოფობიაში ედება ბრალი

## ქდმ–ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგია

თეა მარხვაიძე

მმართველი გუნდის მტკიცებით, უმცირესობის ლიდერმა დანაშაული ჩაიდინა. გიორგი თარგამაძეს ნაციონალები პრეტენზიებს ჰომოფობიური განცხადებების გაკეთების გამო უყენებენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია თარგამაძისგან ტოლერანტობას ელოდა. ქდმ-ს ლიდერმა კი მოითხოვა იმნაირებს (არატრადიციულებს) თანამდებობების დაკავების უფლება არ მიეცესო.

ლაშა თორდიას თქმით, ეს არის დანაშაული. მისივე თქმით, თარგამაძის განცხადება საზოგადოების სხვადასხვა წევრებსს შორის შუღლის გაღვივებაა და მეტი არაფერი.

თორდიას განცხადებას ქდმ-ს მეორე ლიდერი ნიკა ლალიაშვილი გამოეხმაურა.

– გაუგებარია, რა შუღლზე საუბრობთ, ბატონო ლაშა?! თუ საუბრობთ შუღლზე ზნეობასა და უზნეობას შორის, შუღლზე მორალსა და ამორალობას შორის, შუღლზე ცოდვასა და სათნოებას შორის, შუღლზე იმ კატეგორიებს შორის, რომელთა დაზავებაც წარმოუდენელია, მაშინ კი – ჩვენ ასეთ შუღლს ვაღვივებთ, – მიმართა ლალიაშვილმა თორდიას.

ამასთან მან მთელ ნაცმოძს შეახსენა, რომ საქართველოში ასეთი პრობლემები არავის არ შეჰქმნია.

– იმის მიუხედავად, რომ ქართული საზოგადოება ჰომოგენური არ არის და მოქალაქეების 80 პროცენტი ტრადიციული შეხედულებების მატარებელია, არატრადიციული მრწამსისა და ორიენტაციის მქონე ადამიანებს არასდროს არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ აღლუმებით, მედიასაშუალებების გამოყენებით და სხვადასხვა მანქანით საკუთარი აზრებისა და იდეოლოგიის პროპაგანდა და ლობირება უნდა მოახდინონ. მათ აზრების ლობისტები საქართველოს პარალმენტშიც გამოუჩნდნენ,. – განაცხადა ნიკოლოზ ლალიაშვილმა.

ამ დავამდე განცხადება გიორგი თარგამაძემ. საუბარია იმ განცხადებაზე, რომელიც ჰომოფობიურ გამოვლინებად შეფასდა.

ქრისტიან-დემოკრატებმა თარგამაძის პირით, საზოგადოების მორალური ინტერესების დასაცავად საკონსტიტუციო გარანტიები მოითხოვეს.

როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, მისი უწმინდესობის ეპისტოლეში გამოთქმული გაფრთხილება სოდომისეული ცოდვის პოპულარიზებასთან დაკავშირებით მწავე რეალობად იქცა და არა მარტო პოპულარიზება, არამედ საზოგადოებამ გეი აღლუმიც იხილა თბილისის ქუჩებში.

– ქრისტიან-დემოკრატები წინააღმდეგნი არიან ძალადობის ყველანაირი გამოვლინებისა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის, მაგრამ იმავდროულად, მიუღებელია, რომ მომხდარი ფაქტი სექსულური უმცირესობებისა და მათი მხარდამჭერების უბრალო და მშვიდობიან გასეირნებად შეფასდეს. ასეთი სეირნობები ძალიან შორს გამიზნული და მნიშვნელოვანი მოვლენის დასაწყისია, რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს საქართველოში ჰომოსექსუალობის, მამათმავლობის, გარყვნილობის, გახრწნოლობის, გაუკუღმართებული ცხოვრების წესის მორალური და სამართლებრივი ლეგალიზაცია, – განაცხადა თარგამაძემ.

ამას დასადასტურებლად ქდმ-ს ლიდერმა საერთაშორისო პრაქტიკაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებში, სადაც სექსუალური უმცირესობებს დიდი ხანია პრობლემები არა აქვთ და მათ შორის არც საქართველოში, ამით არ კმაყოფილდებიან და რიგ ქვეყნებში მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებს იკავებენ.



ამის შედეგად კი, თარგამაძემ ერთსქესიანებს შორის ქორწინების დაკანონება და სუროგატების გზით შვილებისი აყვანის შესაძლებლობა დაასახელა.

– საქართველო საერო-სეკულარული სახელმწიფოა და მხარს უჭერს ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსგან, საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო დაცლილი უნდა იყოს რელიგიური ფასეულობებისგან და ღირებულებესიგან. ცალკეული ევროპული ქვეყნების მაგალითი ვერ იქნება განმსაზღვრელი, რადგან იქ გაცხადებული ათეისტების რაოდენობა 50%-ს აჭარბებს. საქართველოში კი, საბედნიეროდ, ძლიერია ტრადიციული ღირებულებები დამოსახლეობის 90%-ზე მეტი აცხადებს, რომ მორწმუნე ქრისტიანია – როგორც მართლმადიდებელი, ასევე გრიგორიანელი. 7%-ზე მეტი აცხადებს, რომ მორწმუნე მაჰმადიანია. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობა და კონსტიტუცია უნდა პასუხობდეს იმ ღირებულებებს და ფასეულობებს, რომელიც ასეთი ქვეყნის მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საზოგადეობისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია, – აღნიშნა თარგამაძემ.

მისი თქმით, ქდმ საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტს სთავაზობს. რომელშიც 5 ცვლილებაა მოცემული. თარგამაძის პარტია მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

– იმედი მაქვს, რომ ჩვენს ხელმოწერებს ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის მოქალაქეები შეუერთდებიან. ჩვენ არავის არ ვებრძვით. ჩვენ ვიცავთ ჩვენი ტრადიციული ცხოვრების წესს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველო იმ სახით, როგორიც მოგვიტანეს წინაპრებმა, – აღნიშნა თარგამაძემ.

ქრისტიან-დემოკრატები თანამდებობებზე ამორალური პირების დანიშვნისა და ერთსქესიანთა შორის ქორწინების აკრძალვებზე კონსტიტუციურ გარანტიებს ითხოვენ.

აღნიშნულ და კიდევ სხვა მორალურ საკითხებს ქრისტიან-დემოკრატების მიერ შემუშავებული საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს. ამ ცვლილებებზე ინფორმაციას „ინტერპრესნიუსი" გვთავაზობს.

ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივით, ცვლილება უნდა შევიდეს კონსტიტუციის პრეამბულაში და ძირითად ტექსტში სიტყვა „ტრადიციულის" წინ, უნდა დაემატოს სიტყვა „ქრისტიანული".

პრეამბულაში აღნიშნულია: „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას".

ქდმ-ს ინიციატივის მიხედვით კი – „საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ქრისტიანულ ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას".

მეორე შესწორება კონსტიტუციის 24-ე მუხლს ეხება, რომლის მიხედვითაც, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# კობა ხაბაზი: ოპოზიცია ძაღლივით წკავწკავებს

## ჯონდი ბაღათურიამ პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოითხოვა

თეა მარხვაიძე

ქართული დასის ლიდერმა გუშინ მიხეილ სააკაშვილს დანაპირები შეუსრულა. ბაღათურიამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დააყენა. ოღონდ, მანამდე დეპუტატმა პარლამენტში იუსტიციის მინისტრის მისვლა მოითხოვა. ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" უკვე 2 თვეა რაც ზურაბ ადეიშვილს ელოდება, ის კი არ მოდის. უფრო სწორედ, ვერ მოდის, რადგანაც სამთავრობო საათების დროს ის საქართველოდან მიდის. ამას, ალბათ, საქმეების გამო აკეთებს და არა ფრაქციის შიშით. ცნობისათვის, პარლამენტში სამთავრობო საათი ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს იმართება.



ბაღათურიამ კოლეგებს სააკაშვილის გაიმპიჩმენტებისკენ ოპოზიციისთვის განკუთვნილი ტრიბუნიდან მიმართა. ვიდრე ამ მოთხოვნას თვითონვე მოაწერდა ხელს, კოლეგებს იმპიჩმენტის მიზეზებზე ესაუბრა. მისი განცხადება ნაცმოძისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტის მქონე არ ყოფილა. ბაღათურიამ ჯერ კიდევ წინა კვირას თქვა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს დასვამდა.

– თავდაპირველად, მიხეილ სააკაშვილმა მოტყუებით შეძლო საზოგადოების სიყვარულის დამსახურება და ხალხმა ტაშის კვრით, უკანონოდ შემოიყვანა პარლამენტის დარბაზში. სააკაშვილმა შანსი, რომ ქვეყანა კანონიერად ემართა, არ გამოიყენა და აირჩია შანტაჟისა და ძალადობის გზა. მისი თქმით, დღეს საქართველო ცოდვამ და სიბილწემ წალეკა, უსამართლობის გამო ციხეები უკანონო პატიმრებით გაივსო. ვიცით, რომ პირადად მისი ბრძანებით გამოიჩინა სისასტიკე სპეცრაზმმა. თუმცა, გარდა ამისა, მან მოახერხა, ქვეყნის მნიშვნელოვანი ქონება პირად საკუთრებაში გადაეტანა და თავისი ბიოლოგიური თუ პოლიტიკური ოჯახის საკუთრება გაეხადა, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

დეპუტატის თქმით, აღნიშნული დანაშაულებები არაფერია იმასთან შედარებით, რაც პრეზიდენტმა ბოლოს ჩაიდინა.

– როდესაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ საზღვრის გადმოკვეთისას და სტიქიის დროს, რომელსაც 5 ადამიანი შეეწირა, ქვეყანა მიატოვა. ამ დროს პრეზიდენტმა გატეხა ფიცი და დაარღვია კონსტიტუცია. ჯერ სლოვენიაში იყო კარგ ხასიათზე, შემდეგ კი მილანში წავიდა „საშოპინგოდ". ეს საკმარისი საფუძველია, რომ პრეზიდენტი პასუხისგებაში იყოს მიცემული. ამიტომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის ინიციატივით მივმართავ საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და ვთხოვ, შეისწავლონ პრეზიდენტის დანაშაულებრივი ქმედებები და დასკვნა პარლამენტს წარუდგინონ. ამ საკითხის სასამართლოებში გადაგზავნას სჭირდება პარლამენტში ხელმოწერები, – აღნიშნა დეპუტატმა.

ამის შემდეგ ბაღათურიამ უმრავლესობას მიმართა. აუხსნა, რომ მათი თითოეული ხელმოწერა იქნება ბილეთი მომავალ ქვეყანაში ცხოვრებისა, სადაც არც სააკაშვილი იქნება და არც მისი კრიმინალური რეჟიმი.

ამ განცხადების შემდეგ უმრავლესობის წევრები რიგში დადგნენ. იმედია ხვდებით, რომ მათ რიგი იმპიჩმენტის მოთხოვნაზე ხელმოსაწერად არ დაიკავეს.

ნაცმოძელებმა ბაღათურიასთვის ქოქოლის დასაყრელად დაიკავეს პოზიციები. ოპოზიციონერზე პირველი შეტევა დავით დარჩიაშვილმა განახორციელა.B

მან ბაღათურიას საკმაოდ სერიოზული ბრალდება წაუყენა. დარჩიაშვილი კოლეგას აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაფუჭების მცდელობაში ადანაშაულებს.

იგი ოპოზიციას აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობებისთვის ჩრდილის მიყენებაში ადანაშაულებს.

ცხადია, დარჩიაშვილმა არც პრეზიდენტის გაკრიტიკება შეარჩინა აბეზარ ბაღათურიას. ნაციონალის მტკიცებით, სააკაშვილმა ქვეყანა ჭაობიდან ამოიყვანა და სახელმწიფოს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა.

– შეიძლება ოპოზიცია თავს კარგად გრძნობდა ჭაობში და ახლა, სააკაშვილს ყველა წარმოსადგენ და წარმოუდგენელ ცოდვას აბრალებენ, მაგრამ მერე ამბობენ, რომ ეს ყველაფერი არაფერია იმასთან შედარებით, რაც დავით გარეჯთან დაკავშირებით ხდება. რასთან გვაქვს საქმე? წლების განმავლობაში, იმ საბჭოთა რეჟიმში, რომლის აპოლოგეტები თქვენს ირგვლივ ბევრნი არიან, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ადმისტრაციული საზღვარი ისე იყო გაყოფილი, რომ საზღვარი ქედზე გადიოდა და დავით გარეჯის სამონასტრო კოპლექსის ორი პროცენტი აზერბაიჯანის მხარეს მოექცა. ამას მაშინ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან საბჭოთა კავშირი იყო. საზღვრების დელიმიტაციის პროცესი ურთულესია და მას უნდა ხელშეწყობა და არა ისე მოქცევა, რომელიც პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის აპოლოგეტებს გაახარებს, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

დარჩიაშვილი აზერბაიჯანს მოძმე ერს უწოდებს და დარწმუნებულია, რომ ამ მიზანს ოპოზიცია ვერ მიაღწევს.

– საბედნიეროდ საღი აზრი არის ბაქოშიც და თბილისშიც, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, დავით გარეჯთან დაკავშირებით შეთანხმება პრინციპის დონეზე მიღწეულია, მაგრამ ამ საკითხს სჭირდება კიდევ მსჯელობა და არა ის, რითაც ოპოზიციონერები არიან დაკავებულები.

დარჩიაშვილის შემდეგ მიკროფონის ოკუპაცია აკაკი მინაშვილმა მოახდინა. მისი მტკიცებით, ოპოზიციამ ქვეყნის ინტერესები დაიწიხლქვეშა, უფრო სწორად ფეხქვეშ გათელა.

აკაკი მინაშვილის თქმით, საინტერესოა, რატომ დუმდა ოპოზიცია ოკუპირებულ რეგიონებში ქართულ კულტურულ-რელიგიური ძეგლების დაზიანების ფაქტებზე.

– ხომ არ იყო ეს შიში ან გამიზნული პროვოკაცია სახელმწიფოს წინააღმდეგ? არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ნებისმიერი გზითა და საშუალებით მეგობრებს, მაგალითად აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, ასევე საქართველოსა და ნატო-ს შორის, შუღლი ჩამოაგდონ. იყო საუბრები იმის შესახებ, რომ ნატო-სთან ურთიერთობა იყო არაპერსპექტიული, ძალიან გრძელვადიანი და ნატო-ზე ფიქრი იყო ძალიან ნაადრევი. ისიც ცნობილია, თუ რომელია ის სახელმწიფო, რომელიც ანალოგიურ მიდგომას ატარებს და ცდილობს, როგორმე კეთილმეზობლებს შორის შუღლი ჩამოაგდოს. ამის მცდელობას საპარლამენტო ტრიბუნიდანაც ჰქონდა ადგილი. ამგვარ ქმედებას არავითარი შანსი და მომავალი არ გააჩნია, – განაცხადა მინაშვილმა.

მას მხედველობაში 24 აპრილს მომხდარი ინციდენტი ჰქონდა. იმ დღეს ბაღათურიამ იკითხა, ჩერქეზების გენოციდი რომ აღიარა, სომხებისას რას უშვრებით. ამ სიტყვების გაგონებაზე აზერ სულეიმანოვმა ხმალივით იშიშვლა „ვაზელინის" 30 გრამიანი ტუბიკი, თავად ბაღათურიას კი სომეხი ბაღათურიანი ეძახა.

განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმაც გააკეთა. მისი მტკიცებით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაცია-დემილიტაციის პროცესი დაჩქარდება.

როგორც ცისკარიშვილმა განაცხადა, ამ შეთანხმებას საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა, მიხეილ სააკაშვილმა და ილჰამ ალიევმა რამდენიმე დღის წინ გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს.

– საზღვრის საბოლოო დემილიტაციისთვის შესაბამისი დიპლომატიური სამსახურებიც იმუშავებენ და იმედია, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები პროვოკაციებს არ წამოიწყებენ და პროცესს ხელს არ შეუშლიან. აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა. დავით გარეჯის ძირითადი კომპლექსი იყო და რჩება საქართველოს შემადგენლობაში, იმ მცირე ნაწილზე კი, რომელიც წლების განმავლობაში სადაო იყო, მოლაპარაკებები მიმდინარეობს, – დასძინა პეტრე ცისკარიშვილმა.

ყველაზე ორიგინალური განცხადება გუშინ კობა ხაბაზმა გააკეთა. მან ბაღათურიას გამოსვლა ძაღლის წკავწკავს შეადარა.

მან შესაბამისი განცხადება ბაღათურიას იმ გამოსვლის პასუხად გააკეთა, რომელშიც ამ უკანასკნელმა პრეზიდენტი გააკრიტიკა და ასეთი ციტატა მოიყვანა: „კაცი პატივსა შიგან იყო და ვერ გულისხმაჰყო, ჰბაძავდა იგი პირუტყვსა უგონელსა და მიემსავსა მას".

– ბაღათურიამ საკუთარი გამოსვლისას ცხოველებზე ისაუბრა და მეც გოეთეს გამონათქვამი გამახსენდა: „თუ შენ მიზნისკენ მიდიხარ და ამ გზაზე ყველა ძაღლს, რომელიც შემოგყეფს, შეჩერდები და ქვის სროლას დაუწყებ, მიზნამდე ვერასდროს მიაღწევ". მოგმართავთ უმრავლესობას, რამდენი ძაღლიც შემოგყეფთ, ნუ გაჩერდებით და ქვის სროლაში დროს ნუ დაკარგავთ, რადგან ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი. ჩვენ ძაღლების წკავწკავსა და მათთვის ქვების სროლაზე დასაკარგი დრო არა გვაქვს, იმიტომ რომ მიზანი გვაქვს დიდი, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს აშენება, – აღნიშნა კობა ხაბაზმა.

# ვისაც ფონდი ქომაგი“ დაეხმარება, დაიჭერენ?

## რაში დაადანაშაულებს ნათია მოგელაძე ბუტა რობაქიძის დედას

შალვა ჯოხაძე

**'ქომაგთან~ დაკავშირებული გაუგებრობა გრძელდება და ამ საკითხის გარჩევა უკვე სასამართლოს მოუწევს. ფონდმა, რომელსაც სათავეში პოლიციის ხელით მოკლული ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი, ჩაუდგა სათავეში, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის თანხების მოძიება და მათთვის დახმარების გაწევა დაისახა მიზნად, რაც მალევე ამომრჩევლის მოსყიდვად ჩაუთვალეს. საქველმოქმედო ფონდ 'ქომაგით~ მაშინვე კონტროლის პალატა დაინტერესდა, რადგანაც ია მეტრეველთან თანამშრომლობის სურვილი ბიძინა ივანიშვილმაც გამოთქვა. ჰოდა, სადაც ბიძინა ივანიშვილი გაჭაჭანდება, იქვეა ნათია მოგელაძეც, ეს უკვე ყველამ კარგად ვიცით.**

„ქომაგის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კონტროლის პალატა მათ ფონდს ებრძვის. როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კონტროლის პალატის უკანონო ქმედებებზე ფონდის იურისტები კონკრეტულ განცხადებას მას შემდეგ გააკეთებენ, რაც ეს უწყება კონკრეტულ ბრალდებას ოფიციალურად წარადგენს.

— საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქომაგი“ დაარსებისთანავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ეს ბუნებრივია, ვინაიდან საქართველოში შემაშფოთებლად იმატა პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებული, მათ შორის სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი, აგრეთვე უსამართლოდ დაპატიმრებული ადამიანების რიცხვმა. მათი ოჯახები უკიდურეს გაჭირვებაში, პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე იმყოფებიან და საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას თითოეული ჩვენგანის, მთელი საზოგადოების მხრიდან, რადგან ხელისუფლებამ ისინი უსახსრობისა და გაუსაძლისი ყოფისათვის გაწირა.

ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის სრულიად ბუნებრივი მოთხოვნილებაა უსამართლოდ დევნილი, გასაჭირში ჩავარდნილი ოჯახებისათვის ხელის გამართვის, თუნდაც მორალური მხარდაჭერის გამოცხადების სურვილი, — აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში.

„ქომაგში“ აცხადებენ, რომ კონტროლის პალატისა და ზოგადად, ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა სოლიდარობისა და ქველმოქმედების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, რაც მათი ფონდის წინააღმდეგ დაწყებულ გააფთრებულ ბრძოლაში გამოიხატა.

— კონტროლის პალატის მიერ ფონდის საბანკო ანგარიშის დაყადაღების სურვილი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ინტერნეტის საშუალებითაა გაცხადებული, ამისი ნათელი დადასტურებაა. უფრო დეტალურ კომენტარს კონტროლის პალატის უკანონო ქმედებებზე ფონდის იურისტები მას შემდეგ გააკეთებენ, რაც ეს უწყება ოფიციალურად წარმოადგენს კონკრეტულ ბრალდებას. მაგრამ ამთავითვე გვინდა განვაცხადოთ, რომ ფონდი არ აპირებს შეგუებას ასეთ უსამართლობასა და უკანონობასთან და აუცილებლად გაასაჩივრებს ანგარიშის დაყადაღების გადაწყვეტილებას, თუკი ასეთს რეალურად ექნება ადგილი, — ნათქვამია განცხადებაში.

ფონდი „ქომაგი“ აგრძელებს თავის საქმიანობას, რაც ამ ეტაპზე, დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების მიღებასა და თითოეული შემთხვევის დეტალურ შესწავლაში გამოიხატება.

— მათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლია, ფონდის კარი ღიაა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 18 საათამდე. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს — ნუ დავტოვებთ განსაცდელში მყოფ ოჯახებს უსულგულო სახელმწიფო მანქანის პირისპირ; გვერდში დავუდგეთ ამ ხალხს, თუნდაც ერთი ლარის გადმორიცხვით გამოვხატოთ ჩვენი სოლიდარობა და ფონდ „ქომაგს“ მივცეთ საშუალება, მორალური, იურიდიული თუ მატერიალური დახმარება გაუწიოს იმათ, ვინც ადამიანური ღირსება მატერიალურ კეთილდღეობაზე არ გაცვალა. დღეს ისინი ჩვენი და ჩვენი შვილების, ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის იტანჯებიან, — აღნიშნავენ ფონდის წარმომადგენლები.

ფონდი 30 აპრილს შეიქმნა და მისი საქმიანობის მიზნად განისაზღვრა პოლიტიკური ნიშნით დაზარალებული პირების ფინანსური და იურიდიული დახმარება. „ქომაგის“ წარმომადგენელთა ინფორმაციით, „ფონდი დაზარალებულ მოქალაქეს გამოუყოფს ადვოკატს, აუნაზღაურებს მკურნალობის და სხვა ხარჯებს, მისცემს წართმეული სოციალური შემწეობისა და დაკარგული ხელფასის სრულ კომპენსაციას... საჭიროებიდან გამომდინარე, გამოუყოფს ყოველთვიურ დახმარებას 1500-დან 5000 ლარამდე, — ეს ფონდის მომავალი საქმიანობიდან ის გეგმებია, რომელიც კონტროლის პალატის ყურადღების ცენტრში მოექცა.

— ფონდის დაფუძნებისთანავე პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები ახდენდნენ ასოცირებას ფონდის მიზნებთან და ამოცანებთან, საჯარო გამოსვლებში საუბრობდნენ ფონდის სამომავლო გეგმებზე, საქმიანობის ფორმებზე, რაც საზოგადოებაში ქმნიდა მიზნების განხორციელების დამაჯერებლობას, იწვევდა საზოგადოების მხრიდან ფონდის საქმიანობის პოლიტიკური ნიშნით აღქმადობას შესაბამისი პოლიტიკური სუბიექტის საქმიანობასთან.

ყოველივე აღნიშნული ქმნიდა ფონდის მიზნების, ამოცანების კავშირს და პირდაპირ მიმართებას პოლიტიკური ორგანიზაციის პოლიტიკურ და საარჩევნო მიზნებთან და საქმიანობასთან. რაც ასევე გამოიხატება ფონდის ხელმძღვანელის საჯარო ქმედებებში, მოახდინოს „კოალიციის“ პოლიტიკური მიზნების კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ამომრჩეველთა მატერიალური დაინტერესებით, პარტიის საარჩევნო ამოცანების რეალიზაციას შეუწყოს ხელი. აღნიშნულის შესახებ კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 14 მაისს გააკეთა შესაბამისი განცხადება და მოუწოდა შესაბამის სუბიექტებს, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებისკენ, — აცხადებენ კონტროლის პალატაში.

კონტროლის პალატის ინფორმაციით, 17 მაისს ფონდის ანგარიშზე უცხოეთიდან საქართველოს კონსერვატიული პარტიის საგარეო ურთიერთობათა მდივნის, ბიძინა გიორგობიანის მიერ, რომელიც ამავდროულად არის პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრი და მისივე საჯარო განცხადებებით, მჭიდროდაა დაკავშირებული „ქართული ოცნების“ გეგმებთან, განხორციელდა 90,000 ევროს ოდენობის ტრანზაქცია.

— ეს ტრანზაქცია, ისევე, როგორც ფონდის საქმიანობა, სუბიექტების, ფორმით, შინაარსითა და სხვა ნიშნებით პოლიტიკური ხასიათითაა ნიშანდებული და წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პოლიტიკური დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და დააყადაღოს აიპ „ფონდი ქომაგის“ ანგარიშები. აგრეთვე, განახორციელოს ფონდის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი და შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებები, — აღნიშნეს კონტროლის პალატაში, თუმცა რა კონ-



კრეტულ დარღვევას მიაკვლია მოგელაძის უწყებამ, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ ვრცელდება.

აღსანიშნავია, რომ „ქომაგის“ მიზნებისა და ამოცანების გამჟღავნებისთანავე, რამდენიმე ცნობილმა და ანგარიშგასაწევმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ ფონდის საქმიანობა კანონმდებლობის ფარგლებში მართლაც, ვერ ჯდება.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, კოალიცია „თავისუფალი არჩევნისთვის“, „მრავალეროვანი საქართველო“ აცხადებენ, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები საუბრობენ ფონდის სამომავლო გეგმებზე, რაც იწვევს ფონდის საქმიანობის ასოცირებას მოძრაობა „ქართულ ოცნებასთან“.

„ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ მედიასთან გაკეთებული განცხადებებიდან ირკვევა, რომ ფონდი პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულ პირებს ფინანსურ და იურიდიულ დახმარებას გაუწევს.

— გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ფონდი დაზარალებულ მოქალაქეს გამოუყოფს ადვოკატს, აუნაზღაურებს მკურნალობისა და სხვა ხარჯებს. მისცემს წართმეული სოციალური შემწეობისა და დაკარგული ხელფასის სრულ კომპენსაციას... საჭიროებიდან გამომდინარე, 1500-დან 5000 ლარამდე ყოველთვიურ დახმარებას გამოუყოფს.“

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს პოლიტიკური მიზნით, როგორც პოლიტიკური პარტიის მხრიდან პირდაპირ, ასევე, არაპირდაპირ (სხვა პირის მეშვეობით) ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზებას, დაპირებას, გადაცემას ან გაწევას, ასევე, წინასწარი შეცნობით ასეთის მოთხოვნას ან მიღებას.“

მოვუწოდებთ ნებისმიერ პირს, თავი შეიკავოს ქმედებებისგან, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნას ამომრჩევლის მოსყიდვად, ვინაიდან მატერიალური ფასეულობების გადაცემა პოლიტიკური მიზნით წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე. ამასთანავე, ამ ქმედებამ შესაძლოა პასუხისმგებლობის ქვეშ დააყენოს არა მარტო პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და მათ სასარგებლოდ მოქმედი პირები, არამედ მატერიალური სიკეთის მიმღები პირებიც, — აცხადებენ არასამთავრობოები.

ბოლო დროს ჩვენს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, მართლაც, პოლიტიკოსების სხვადასხვა მოქმედებების ამომრჩევლის მოსყიდვად შერაცხვა განსაკუთრებით არის გაადვილებული. ბოლო რამდენიმე თვეა, მედია, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ამ სიახლეებზე ამახვილებენ ყურადღებას და მათ უსამართლოდ მიიჩნევენ. თუმცა, ეს ყველაფერი დღეს მოქმედი კანონებია და მათი დარღვევაც კანონით ისჯება. ფაქტია, თუკი მოგელაძის უწყებამ თქვა, რომ დარღვევას მიაგნო, პოლიტიკური პარტიაც დაისჯება და ის ადამიანიც, ვინც თუნდაც მცირედი მატერიალური დახმარება მიიღო.

# ხელისუფლებას არ სურს ჩაატაროს გამჭვირვალე არჩევნები

ნათია ხურცილავა



კამპანია „ეს შენ გეხება“ ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. მედია ორგანიზაციები ახალ ინიცირებულ საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით სპეციალურ მიმართვას ავრცელებენ.

კამპანია „ეს შენ გეხება“ მონაწილე ორგანიზაციების მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართეს.

ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული წინადადებების კანონმდებლობაში ასახვა მკვეთრად გააუმჯობესებს მედია გარემოს, რაც საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებასაც შეუწყობს ხელს.

მედია ორგანიზაციებმა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაავრცელეს მიმართვა და ხელისუფლებას მოუწოდეს, უმოკლეს ვადაში დაიწყოს საკანონმდებლო წინადადებათა განხილვა.

მიმართვის ტექსტი კამპანია „ეს შენ გეხება“ წარმომადგენელმა მაგდა პოპიაშვილმა გააცნო ჟურნალისტებს.

— ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცვლილება თანაბარ პირობებში ჩააყენებს მედიასაშუალებებს, აგრეთვე, წინასაარჩევნო პერიოდში უზრუნველყოფს საარჩევნო სუბიექტების თანასწორ უფლებებს და, რაც მთავარია, საქართველოს მოქალაქეებს მიეცემათ ტელემედიაზე თანაბარი წვდომის საშუალება. ეს კი ხელს შეუწყობს ამომრჩევლებს, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს“, — ნათქვამია მიმართვაში.

როგორც კამპანია „ეს შენ გეხება“ წარმომადგენლები აცხადებენ, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტის კანონმდებლობაში ასახვა ხელს შეუწყობს როგორც მედიის, ისე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ქვეყანაში.

— საკანონმდებლო წინადადებით განიმარტა ფარული და სოციალური რეკლამის ცნებები, მაუწყებლობის ტრანზიტის, ფასიანი და უფასო რეკლამის განთავსების ლიმიტები, წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის, პოლიტიკური დებატების, მედიამონიტორინგის განხორციელების, სახელმწიფო ორგანოების სარეკლამო ხარჯების გამჭვირვალობის წესები, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებები. მნიშვნელოვანია, რომ ამ ცვლილებების მიღებით ტელეკომპანიებს, განსაკუთრებით რეგიონალურ მაუწყებლებს, რომელთა შემოსავლებიც ისედაც ძალზე მწირია, გაუჩნდებათ საარსებო წყარო და უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი დრო აღარ დააწვებათ მძიმე ტვირთად. ამასთან, ცვლილებების კანონმდებლობაში ასახვით, საკაბელო ოპერატორებსა და მაუწყებლებს შორის ურთიერთობა სამართლიანად დარეგულირდება და საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონეებს ხელი აღარ შეეშლებათ, რომ გავრცელდნენ კუთვნილ სამაუწყებლო ზონებში, — ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერს საქართველოში მოქმედი 72 მედია ორგანიზაცია. მათ შორის 26 ტელეკომპანია, 24 გაზეთი, 8 ინტერნეტ–გამოცემა, მედიის საკითხებზე მომუშავე 11 არასამთავრობო ორგანიზაცია და 3 დამოუკიდებელი ჟურნალისტი.

კამპანია „ეს შენ გეხება“ მონაწილე არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებმა კამპანიის მეორე ეტაპი 7 მაისს დაიწყეს.

კამპანია ითვალისწინებს „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანას და მედიაგარემოს გაჯანსაღებას საარჩევნო პერიოდში. ამ საკითხთან დაკავშირებით 7 მაისს, კამპანიის მონაწილეებმა საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი შეიტანეს. იმავე დღეს, როგორც ცნობილია, საკანონმდებლო წინადადებები საქართველოს პარლამენტის ბიურომ განიხილა, რის შემდეგაც, საკანონმდებლო პაკეტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტს გადაეცა.

მამუკა ღლონტი, ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელი:

— კანონში თუ ეს ცვლილებები შევიდა, დემოკრატიისკენ რადიკალურად დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული. ძალიან სასარგებლო რამ გაკეთდება. გარდა ამისა, ეს არის სერიოზული ტესტი ხელისუფლებისთვის. თუ ხელისუფლება შეეწინააღმდეგება ამ მოთხოვნებს და არ განახორციელებს ამ ცვლილებებს, მაშინ დამრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას არ სურს ჩაატაროს გამჭვირვალე არჩევნები. ეს არის ტესტი, ბურთი ხელისუფლების მოედანზეა. ვნახოთ, მათ მართლაც აქვთ სურვილი, რომ ჩაატარონ დემოკრატიული არჩევნები თუ ეს ყველაფერი ლიტონი სიტყვებია.

ლაშა ტუღუში, გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორი:

— ეს მართლაც არის ამ ხელისუფლებისთვის ტესტი, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტებია ინიცირებული. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში არსებითად იცვლება მედიაგარემო არჩევნების პერიოდში. ეს ძალიან პრინციპული საკითხია, რაც ნიშნავს, რომ მედიასაშუალებებისთვის თანაბრობა დაცული იქნება ყველგან - რეგიონებშიც და თბილისშიც. ასევე, შეუძლებელი გახდება სახელმწიფო ფულის ხარჯვა ისე, როგორც აქამდე იხარჯებოდა. სახელმწიფო ბიუჯეტი გამჭვირვალე უნდა იყოს მედიასთან მიმართებაში. ის, რაც დღეს ხდება, საწინააღმდეგოა. როგორც ვიცით, ბიუჯეტის ფული არა გამჭვირვალედ, ტენდენციურად იხარჯება. იმისთვის, რომ მხარი ერთ, რომელიღაც პოლიტიკურ ძალას დაეჭიროს, რაც სამართლიანი და სწორი არ არის. ამ კანონპროექტში ბევრი ინოვაცია არის. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელიც სოციალურ რეკლამას ეხება, ეხება ფასიან რეკლამას, ასევე უფასო რეკლამას. ამ კანონპროექტებით, თუ მიიღეს, მაგალითად, „მაესტროს“ ეძლევა შესაძლებლობა, რომ რეგიონში იმაუწყებლოს იმ საკაბელო ტელევიზიების მეშვეობით, რომლებიც დღეს მას ამის საშუალებას არ აძლევენ. ყველა კანონპროექტი, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას, დასავლური სტანდარტის არის. არც ერთი მუხლი არ არის ისეთი, რომელიც არ იმსახურებდეს ამ შეფასებას. იმედი გვაქვს, რომ ეს კანონპროექტები მიღებული იქნება, ვინაიდან ამ პროცესში ჩართული იყო მედიაექსპერტების გარდა, იურისტი ექსპერტები. გარდა ამისა, საერთაშორისო ექსპერტიზა გაუკეთდა ამ კანონპროექტებს. ძალიან პოზიტიური დასკვნა დაიდო. ძალიან ბევრი შეხვედრა გვქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ წრეებთან და ისინი ოპტიმისტურად უყურებენ ამ კანონპროექტებს. ეს კანონპროექტები მოწოდებულია, რომ ღირსეულად ვემსახუროთ ჟურნალისტიკას.





# რა სიგნალი გაიგზავნა ჩიკაგოდან?!

ნათია ხურცილავა




პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ 26 მაისს დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებზე ისაუბრა. როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა ტრადიციულ ბრიფინგზე აღნიშნა, საზეიმო ღონისძიებები გაიმართება როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში. მანანა მანჯგალაძის განცხადებით, საქართველოს დედაქალაქი პირველად უმასპინძლებს სამრეწველო აღლუმს სახელწოდებით „დამზადებულია საქართველოში“. ღონისძიების ფარგლებში ასეულობით ქართულ საწარმოს ექნება შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი პროდუქცია.

მისი თქმით, თბილისში დაგეგმილ სამრეწველო აღლუმზე განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ქართული წარმოების სამხედრო ტექნიკა – „ლაზიკა“, „დიდგორი“ და უპილოტო თვითმფრინავები.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, ღონისძიებები გაგრძელდება ქუთაისშიც.

26 მაისს ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნება პარლამენტის ახალი შენობა, რომლის საბოლოო მშენებლობაც დასრულდება შემოდგომაზე.

– შენობა მზად იქნება იმისთვის, რომ საქართველოს პარლამენტის პირველი საზეიმო სხდომა გაიმართოს ქუთაისში, როგორც საპარლამენტო დედაქალაქში, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის პრესსპიკერის თქმით, ასევე ქუთაისში გაიმართება სამხედრო აღლუმიც. 26 მაისს ქუთაისში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებებიც გაიმართება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა კომენტარი ნატოს ჩიკაგოს სამიტზე გააკეთა.

ნატოს რიგით 25-ე სამიტი დეკლარაციის მიღებით დასრულდა.

რა სიგნალი გაიგზავნა ჩიკაგოდან?

საქართველო ასპირანტი ქვეყნის სტატუსით ბალკანეთის ქვეყნების ჩამონათვალშია.

ბოსნია–ჰერცოგოვინას, მონტენეგროს, მაკედონიას სამოქმედო გეგმა უკვე აქვთ.

2014 წელს ნატოს მომდევნო სამიტი გაფართოების სამიტი იქნება.

რას მივიღებთ 2014 წელს ნატოსგან მაპს თუ მაპის გარეშე პირდაპირ გაწევრიანებას, ეს საშინაო დავალებაზე იქნება დამოკიდებული, რომელიც უკვე მიიღო საქართველოს დელეგაციამ.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, შიდა პოლიტიკური პროცესები იქნება მთავარი განმსაზღვრელი რუსეთის ფაქტორთან ერთად ნატოში შემდეგი ინტეგრაციის.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებით, ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე დასახელდა ის კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულების გზით საქართველო ალიანსში გაწევრიანებას შეძლებს.

– ჩიკაგოს ორდღიანი სამიტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მოგეხსენებათ, ბუქარესტის სამიტზე ალიანსის გაფართოების კონკრეტული მექანიზმები არ დასახელებულა, ჩიკაგოში კი დასახელდა ამოცანები, რომელთა შესრულების გზით საქართველო ალიანსში გაწევრიანებას შეძლებს. ჩიკაგოში ითქვა ისიც, რომ მომავალი სამიტი გაფართოების სამიტი იქნება, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ერთადერთი არაწევრი ქვეყანა იყო, რომელიც სამივე ფორმატის შეხვედრებზე იყო წარმოდგენილი.

– ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა სამიტის შემდეგ მიხეილ სააკაშვილთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ნატო-სა და საქართველოს განსაკუთრებული ურთიერთობები აქვთ, რომელიც მომავალში უფრო გაღრმავდება. ეს სამიტის შემაჯამებელ დეკლარაციაშიც აღინიშნა. დოკუმენტის 65 პუნქტიდან სამი უშუალოდ საქართველოს შეეხება. ამასთან, ეს პირველი დოკუმენტია, რომელშიც ოფიციალურად ჩაიწერა, რომ საქართველო ნატო-ს ასპირანტი ქვეყანაა და ალიანსი ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების ერთგული რჩება, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა სამიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა აზერბაიჯანისა და ბულგარეთის პრეზიდენტებთან, ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირებთან, ასევე დანიის პრემიერ-მინისტრთან.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებით, ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე დასახელდა ის კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულების გზით საქართველო ალიანსში გაწევრიანებას შეძლებს.

– ჩიკაგოს ორდღიანი სამიტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მოგეხსენებათ, ბუქარესტის სამიტზე ალიანსის გაფართოების კონკრეტული მექანიზმები არ დასახელებულა, ჩიკაგოში კი დასახელდა ამოცანები, რომელთა შესრულების გზით საქართველო ალიანსში გაწევრიანებას შეძლებს. ჩიკაგოში ითქვა ისიც, რომ მომავალი სამიტი გაფართოების სამიტი იქნება, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

ჩიკაგოშივე ასეთი განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

– ჩვენი პროგრესი თუ გაგრძელდა და აუცილებლად გაგრძელდება, ჩვენ აუცილებლად ვიქნებით უმაგრეს ფორმაში იმ სამიტისთვის, როდესაც ძალიან ძნელი იქნება ახსნა, თუ რატომ აღარ იღებენ საქართველოს ნატოში, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

## დავით ბაქრაძე საუდის არაბეთის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა

საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის ბიზნეს და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე იმსჯელეს გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და არაბეთის მაჯლის აშ-შურას დელეგაციის წევრებმა. ინფორმაციას ამის შესახებ პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს. პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში საუდის არაბეთის როლზე გამახვილდა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში არაბი დეპუტატები შეხვედრებს თბილისის მერთან, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან გამართავენ. ასევე, დაგეგმილია ბათუმში ვიზიტი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან გიორგი პაპუაშვილთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელთან ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრა. საუდის არაბეთის საპარლამენტო დელეგაცია საქართველოდან 28 მაისს გაემგზავრება.

საუდის არაბეთის სამეფოს მაჯლის აშ-შურას, არაბეთ-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის დელეგაცია პირველი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს გუშინწინ ეწვია.

ნიუსპრესი

## სახალხო დამცველს ქრისტიან-დემოკრატების“ ინიციატივა მიუღებლად მიაჩნია

საქართველოს სახალხო დამცველს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ ინიციატივა მიუღებლად მიაჩნია.

ამის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. განცხადების თანახმად, აღნიშნულ დოკუმენტს საკანონმდებლო ინიციატივის ძალა ჯერ არ გააჩნია, თუმცა, მსგავსი ცვლილების განხორციელება მიუღებელია.

„აღნიშნულის მიუხედავად, ცალსახად მიუღებლად მიმაჩნია მსგავსი ცვლილებების საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელება, რადგან ის საქართველოს მოქალაქეთა მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს გამოვლენილ ნებასთან წინააღმდეგობაში მოდის, რაც საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებშია ასახული“ – აღნიშნულია განცხადებაში.

სახალხო დამცველის აპარატს ასევე, შემაშფოთებლად მიაჩნია შეთავაზებულ ცვლილებებზე საპარლამენტო უმცირესობის ლიდერისა და მისი წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები.

„სამწუხაროდ, მათ მიერ გაკეთებული განცხადებების ნაწილი სიძულვილის ენას შეიცავდა, რომელიც მიმაჩნია, რომ საზოგადოებაში სტერეოტიპული წარმოდგენებისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულების წახალისებას უწყობს ხელს, რაც სექსუალური უმცირესობების შეურაცხყოფისა და საზოგადოებიდან გარიყვის საფრთხეს ქმნის“– ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში. მათივე განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს, საზოგადოების წინაშე არა მხოლოდ მანდატით გათვალისწინებული, არამედ მაღალი მორალური პასუხისმგებლობაც აკისრიათ.

განცხადების თანახმად, სახალხო დამცველს ასევე, პარლამენტარების მხრიდან ისეთი გამონათქვამების გამოყენება მიაჩნია მიუღებლად, რომელიც საზოგადოების რომელიმე წევრს შეურაცხყოფას აყენებს და მას სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში არათანასწორად წარმოაჩენს. ნიუსპრესი

# გიორგი თარგამაძეს ჰომოფობიაში ედება ბრალი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბით, ან სხვაგვარი საშუალებით.

ქრისტიან-დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ კონსტიტუციის დასახელებული დებულება უკავშირდება მხოლოდ ფიზიკურ და არა იურიდიულ პირებს და მათ საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციას, ამიტომ მათ მიერ შემუშავებული ცვლილება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მედია საშუალებების რედაქციებზე დაწესებული სახელმწიფო ცენზურა. პირიქით, ამ შემთხვევაში იგულისხმება ცალკეული ფიზიკური პირი, ანუ ავტორი, რომელიც შეიძლება იყოს რესპოდენტი, პოლიტიკოსი, ექსპერტი, თანამდებობის პირი, ჟურნალისტი და ა.შ.

აღნიშნული შესწორების მთავარი მოთხოვნაა, რომ საჯარო გამონათქვამი არ უნდა იყოს უხამსი შინაარსის და არ უნდა შეურაცხყოფდეს ქრისტიანულ ან სხვა აღიარებული რელიგიის უნივერსალურ პრინციპებს, აგრეთვე ასეთი გამონათქვამი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ მორალს.

— ამ დებულების ამოქმედებით სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება უხამსობასთან, გარყვნილობასთან და აღვირახსნილ კამპანიებთან, რომლებიც პროპაგანდას უწევენ სოდომისეული ცოდვის ლეგალიზაციას, — აცხადებენ ქრისტიან-დემოკრატები.

ისინი მოითხოვენ, რომ კონსტიტუციის 24 — მუხლს შემდეგი დებულება დაემატოს: „აგრეთვე, როდესაც ადგილი აქვს ქრისტიანული ან საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიურ მიმდინარეობათა მიერ აღიარებული რელიგიური პრინციპების შელახვასა და საზოგადოებრივი მორალის საწინააღმდეგო უხამსობის პროპაგანდას“.

ქრისტიან-დემოკრატების პროექტში მესამე ცვლილება უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის ნორმატიული კონსტრუქციის რედაქციულ გამართვას.

კერძოდ, ცვლილების მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც განათლებით, პროფესიით და ასევე, „მორალური ქცევით“ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მეოთხე შესწორება დაკავშირებულია მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ წესთან, რომელიც პირდაპირ უკრძალავს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებს ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემას სათამაშო ბიზნესის წარმოების ან ისეთი კლუბების დაარსებისათვის, რომელიც რყვნის საზოგადოების მორალს და ეწინააღმდეგება საზოგადოების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკური ქცევის წესებს, თუ ასეთი ბიზნეს საქმიანობა ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, სასწავლო-დაწესებულებების შენობებისა და რელიგიური საკულტო ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიაზე.

კონსტიტუციის ბოლო შესწორება ეხება სახელმწიფოს მიერ მონოგამიური ქორწინების აღიარებას და, ფაქტობრივად, ერთსქესიან ქორწინების რეგისტრაციაზე უარის გამოცხადებას. კერძოდ, კონსტიტუციის 36-ე მუხლი ასე ჩამოყალიბდება „სახელმწიფო აღიარებს ქალისა და მამაკაცის ქორწინებას, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობითობას“.

აღნიშნულ ინიციატივაზე „ქრისტიან-დემოკრატები“ 200 ათას ხელმოწერას ოთხი თვის მანძილზე შეაგროვებენ და ინიციატივას პარლამენტს წარუდგენენ.

მმართველი გუნდი თარგამაძეს ხელმოწერების შეგროვებაში წარმატებებს უსურვებს. ამის მიუხედავად ისინი ქდმ-ს ინიციატივისთვის მხარის დაჭერას არ აპურებენ.

# ნანა კაკაბაძე: „ამ ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ეზეიმება“

ნონა ცაბაძე

**შარშანდელი 26 მაისის ტრაგედიიდან ერთი წელი სრულდება. თუ რა შეიცვალა ამ დღის შემდეგ ქართველი ხალხის ცნობიერებაში და ნანობს თუ არა ხელისუფლება მის ნამოქმედარს, ამის შესახებ 'ახალი თაობა~ ადამიანის უფლებათა დამცველ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა.**

***— ქალბატონო ნანა, რა შეიცვალა შარშანდელი 26 მაისის შემდეგ? ყველას კარგად გვახსოვს ის მძიმე დღეები და დღესაც გვტკივა. თქვენი აზრით, როგორია დღეს ხელისუფლების დამოკიდებულება, თუ დასჭირდა, კიდევ წავა იგივეზე?***

— რა შეიცვალა 26 მაისთან დაკავშირებით... ზოგადად შეიცვალა ის, რომ საერთოდ ქართველი კაცის მეხსიერებაში და მის ცნობიერებაში, 26 მაისი იყო გაიგივებული საქართველოს დამოუკიდებლობასთან, თავისუფლებასთან, თავისუფლებისკენ სწრაფვასთან, მაშინ, როდესაც ქვეყანა არ იყო თავისუფალი. ეს იყო ყოველთვის საზეიმო და სასურველი დღე, რომელსაც ქართველი კაცი ნატვრით და სიამაყით აღნიშნავდა. იმ ავადსახსენებელი 26 მაისის შემდეგ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ უმოწყალოდ დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები, 40 კაცზე მეტი ციხეებში გამოამწყვდია და დღეს ისინი პოლიტიკური ნიშნით პოლიტპატიმრებად იქცნენ. მანიფესტაციებში მონაწილეობის გამო დახოცეს ადამიანები, მათ შორის ისეთი ხალხი, რომლებსაც არ ჰქონდათ არანაირი პოლიტიკური კუთვნილება. ისინი არ მიეკუთვნებოდნენ არანაირ პოლიტიკურ ძალას, უბრალოდ, იქ მისულნი იყვნენ თავიანთი პროტესტის გამოსახატად. თუნდაც ნიკა კვინტრაძე, რომელიც შემდგომ სახურავზე იპოვეს თითქოსდა სამართალდამცავებმა. აი, ამ ბარბაროსული, ამ ბართლომეს ღამის შემდეგ, საქართველოს და ქართველი ხალხის ცნობიერებაში, 26 მაისი არის უკვე დღე, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ეს დღე აქცია გლოვის დღედ, ადამიანის უფლებების შელახვის, ღირსების შელახვის დღედ. ამ დღეს უკვე ჩვენ აღარ გვაქვს თავისუფლებით განწყობილი აღტაცება. ამას რაღაცნაირად ჩაენაცვლა ის ტრაგედია, რომელიც 2011 წლის 26 მაისს მოხდა. აი, ეს არის დღევანდელი განწყობა 26 მაისისადმი, მაგრამ ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები და ვფიქრობთ, რომ რაღაცა ცვლილებები აუცილებლად მოხდება ქვეყანაში. ის მსხვერპლი, რომელიც ქართველმა ხალხმა იმ დღეს გაიღო, ადამიანები ნამდვილად ელოდნენ იქ დარბევას, იცოდნენ, რომ ხელისუფლება აუცილებლად გამოიყენებდა ძალას, ამის მიუხედავად, ისინი მაინც ვაჟკაცურად იდგნენ. 26 მაისს მოხდა იმის დემონსტრირებაც, რომ ის, რაც 9 აპრილს საბჭოთა მილიციამაც კი არ იკადრა და არ აღმართა ხელი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამ 26 მაისს სწორედ ქართველი ხალხის სისხლი დაღვარეს თავისმა თანამემამულეებმა, რომლებიც იყვნენ სპეცნაზისა თუ სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლები და, რომლებმაც შეასრულეს ხელისუფლების უკანონო ბრძანება. მათ უკანონოდ დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები და უფრო მეტიც, დახოცეს მშვიდობიანი მომიტინგეები. აი, ასეთად არის დღეს უკვე აღქმული 26 მაისი ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

***— ჩვენს ხელისუფლებას ეს არც მაშინ და არც დღეს არ ანაღვლებს. ცნობილია, რომ ისინი დიდი მონდომებით ემზადებიან 26 მაისის ქუთაისში აღსანიშნავად...***

— ამ ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ეზეიმება. ეზეიმებოდა 2008 წლის აგვისტოს დღეებშიც, როდესაც საკუთარ ტერიტორიებს ვკარგავდით. მე ამას პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობ, ვკარგავდით უკვე იურიდიულად. როდესაც იქ ჩვენი თანამემამულეები იხოცებოდნენ, სისხლს ღვრიდნენ, სისხლისგან იცლებოდნენ დაჭრილი მეომრები, საქართველოს ხელისუფლება აქ ზეიმობდა და ცეკვა-



თამაში გამართა თავისუფლების მოედანზე. სამარცხვინო ხელისუფლების სამარცხვინო ქმედებების სხადოროდა. ხალხი შეიყვანა შეცდომაში და ამ სამარცხვინო მორევში ჩაითრია საზოგადოების გარკვეული ნაწილიც. მათ ხომ მხოლოდ ეზეიმებათ, მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი სისხლისგან იცლება, როდესაც ჩვენი მოსახლეობა უმძიმეს გაჭირვებაში და სიდუხჭირეშია, ესენი ამ დროს ზეიმობენ.

***— განსაკუთრებით ჩვენი პრეზიდენტი და ამ ყველაფერს არც მალავს...***

— გეთანხმებით. ცოტა ხნის წინ აჩვენებდნენ კადრებს, როდესაც წყალდიდობამ ქალაქში წაიღო სახლები, დაიხოცა ხალხი. ვინც არ მოკვდა და გადარჩა, თითქმის სიკვდილის ზღვარს მიუახლოვდა, იმხელა ზიანი განიცადა და ამ დროს, ქვეყნის პირველი პირი ფეხბურთის მატჩებს ესწრება და დარბის მაღაზიებში საყიდლებზე. ძალიან სამარცხვინოა ეს ყველაფერი და მე არ ვიცი, რა უნდა იყოს კიდევ უფრო დამამცირებელი ერის ღირსებისთვის, ვიდრე ასეთი ქვეყნის პირველი პირის ყოლა და იმის ატანა და გაძლება, რასაც დღეს ჩვენ ვუძლებთ. ამას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ლოგიკური დასასრული და მე იმედი მაქვს, რომ ეს ლოგიკური დასასრული უნდა დადგეს არჩევნების დროს ოქტომბერში. ერთხელ და სამუდამოდ, 26 მაისმა უნდა დაიბრუნოს თავისი ბრწყინვალება და რაც მთავარია, ამ ქვეყანაში მართლაც გაჩნდეს სიხარულის რეალური განცდა. განცდა იმისა, რომ რაღაც კარგი ხდება ქვეყანაში. ჩვენ ვზეიმობდეთ სიკეთეს და არა სისხლისღვრებს, არა ტერიტორიების დაკარგვას, არამედ საქართველოს გამთლიანებას, ერთიანობას აფხაზებთან და ოსებთან ერთად და ყველაფერ იმ სიკეთეს, რასაც ჩვენი ქართველი ხალხი იმსახურებს. იმსახურებს თუნდაც თავიანთი ისტორიული წარსულის გამო და იმ წინაპრების დაღვრილი სისხლის გამო, რომლებიც ამ ქვეყანას ეწირებოდნენ, ეწირებოდნენ სამშობლოს და მის ერთიანობას. თუნდაც იმ წინაპრების გამო დღეს ჩვენი ერი არის იმის ღირსი, რომ ამ ვანდალიზმს ბოლო მოეღოს და ოქტომბრის შემდეგ მართლაც დაიწყოს საქართველოს განვითარების ახალი ეტაპი.

***— ქალბატონო ნანა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ 27 მაისს ოპოზიციის დიდი ნაწილი მოსახლეობასთან ერთად ქუჩაში გამოვა. მართალია ამ დღეს ერთ კონკრეტულ კოალიციას გამოჰყავს ხალხი ქუჩაში, მაგრამ ამის მიუხედავად, არის იმის შანსი, რომ სწორედ ამ დღეს უთხრას ქართველმა ხალხმა სააკაშვილს არა?***

— როგორც არის დაანონსებული, ეს დღე არის „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის პრეზენტაცია. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ხალხი, რომლებიც იქ მიდიან, დიდი უმეტესობა მიდის არა მხოლოდ ამ პრეზენტაციისთვის, არამედ იმ მოლოდინებისთვის, რომელიც საზოგადოებაში გაჩნდა ამ ახალი ძალის გამოჩენის გამო. ხალხი იქ მიდის იმ პროტესტის გამო, რომელიც მათ ხელისუფლების წინააღმდეგ აქვთ დაგროვილი. მათ უნდათ გამოხატონ, რომ ისინი ელიან ხელისუფლების ცვლილებას. საზოგადოება იქ გარდა პრეზენტაციისა, მიდის ამ მოლოდინებისა და ამ იმედის გამო. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მე ამაზე წინასწარ, რასაკვირველია, ვერ ვისაუბრებ, უბრალოდ ვფიქრობ, რომ ხალხის ძალიან დიდი რაოდენობა მოიყრის თავს. მოიყრის იმ იმედით, რომ უნდა დაიწყოს ცვლილებები და ეს ცვლილება უნდა დასრულდეს ოქტომბერში. უნდა დასრულდეს ქართველი ხალხის გამარჯვებით და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის გამარჯვებით.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ დიდი რაოდენობა მივა ხალხისო. როგორ ფიქრობთ, დაძლია შიში საზოგადოებამ?***

— ვინ დაძლია, ვინ ვერ დაძლია შიში, მაგრამ ის ადამიანები, რომლებსაც დასაკარგი არაფერი არა აქვთ ამ ქვეყანაზე საკუთარი ბორკილების გარდა, ასეთი ადამიანები ამ ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ძალიან მრავლად გააჩინა თავისი მმართველობის განმავლობაში. ისინი, ვისაც მართლაც აღარაფერი გააჩნიათ დასაკარგი თავისი ბორკილების გარდა, ის ადამიანები აუცილებლად მივლენ იქ და ისინი მართლაც ძალიან ბევრნი არიან.

***— რამდენად არის იმის შანსი, რომ ხელისუფლება წავიდეს ახალ პროვოკაციაზე, თუკი დაინახავს, რომ ხალხის დიდი რაოდენობა მივა?***

— მე ვფიქრობ, რომ დღეს ნებისმიერი ასეთი პროვოკაცია დასრულდება ხელისუფლების დამარცხებით.

***— რამდენად აცნობიერებენ ამას?***

— ეს მშვენივრად აქვთ გაცნობიერებული, ძალიან კარგად იციან. მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი და ამ საზღვარს ხელისუფლებამ არაერთხელ გადააბიჯა. ასე რომ, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ასეთი რისკი ხელისუფლებისთვის იქნება საკმაოდ სახიფათო.

***— მით უმეტეს მაშინ, როცა ხელისუფლება ვეღარ სარგებლობს დასავლეთის მხარდაჭერით...***

— რაც შეეხება დასავლეთს, ის მხარს სწორედ იმ ძალას დაუჭერს, რომელ პოლიტიკურ ძალასაც ხალხი დაუჭერს მხარს. თუ დასავლეთმა დაინახა, რომ ხელისუფლებას კი არა, სწორედ ოპოზიციას უდგას ხალხი გვერდით და ეს შიში გატეხილია, რომ ხელისუფლება ვეღარ ახერხებს ხალხის დაშინებას, მოსახლეობა აზვირთებულია, მაშინ დასავლეთი დაუჭერს ოპოზიციას მხარს. დასავლეთი ზოგადად მხარს უჭერს არა რომელიმე პოლიტიკურ ორიენტაციას, რომელიმე პოლიტიკურ შესაძლებლობებს, არამედ ძალას. ეს ძალა არის ხალხში. თუ მათ დაინახეს, რომ ამ ხალხის ძალა არის რომელიმე პოლიტიკური ძალის გვერდით, ისინიც სწორედ იქ დადგებიან.

***— საბოლოო სიტყვა საზოგადოებაზეა?***

— რასაკვირველია, საზოგადოებაზეა და საზოგადოებამ უნდა შეძლოს შიშის დაძლევა, საზოგადოებამ უნდა შეძლოს პრინციპულობის გამოვლენა და საზოგადოებამ უნდა შეძლოს საკუთარი თავის გადარჩენისთვის ბრძოლა.

# მარად უკვდავი ვაჟა...

18 მაისი, საოცრად მრავალმა სტუდენტმა და პროფესორ-მასწავლებელმა მოიყარა თავი თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. აქ ისინი მოვიდნენ მარად უკვდავი პოეტის, მსოფლიო მოქალა-



ქის, დიდი ვაჟას ხსოვნის აღსანიშნავ ლიტერატურული საღამოზე. დაწყებამდე დარბაზის ეკრანზე გამოჩნდა ფშავ-ხევსურეთის ზვიადი მთები, სოფელ ჩარგლის სანახები, პოეტის ქოხი, სადაც ბუხარში მუდამ კაცთმოყვარეობისა და სიკეთის მარადიული ცეცხლი გიზგიზებდა.

ლიტერატურული საღამო საინტერესო შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პირველმა დამფუძნებელმა, ცნობილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ წერეთელმა. მან მოხსენებისთვის სიტყვა გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ იუზა ევგენიძეს... მომხსენებელს მხარი დაუმშვენეს ასევე დედა უნივერსიტეტის პროფესორებმა, ლადო მინაშვილმა და თეიმურაზ ქურდოვანიძემ.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე უნივერსიტეტის თანამშრომლები: ლია ხმალაძე. იზოლდა ქაფიაშვილი, ციცინო ბუკია, თამარ გელაშვილი...



სულ მალე სცენაზე უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტებმა მხატვრული კითხვით გააცოცხლეს ვაჟა-ფშაველას ადამიანის, სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული ლექსები. მათ შორის იყვნენ: ლაშა ვერულიძე, ზვიად ნავროზაშვილი, ია სამხარაძე, ირინოლა ლაგვილავა, მეგი ყაფლანიშვილი, ნანუკა ტალახაძე, ქრისტინე მოდებაძე, ნინო ჩიტიშვილი, ჩაო გასოევი, მარი სირბილაძე, ანა ხაჩიძე. მათვე წაიკითხეს პოეტ ნუგზარ წერეთლისა და ჟურნალისტ ხვთისავარ არჩემაშვილის მიერ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

ლიტერატურულ საღამოზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა და ღონისძიების ორგანიზატორებს დიდი მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა.

ლიტერატურული საღამოს მსვლელობით აღფრთოვანებული დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი სტოვებდა დარბაზს, რომელთა განწყობილებას აცისკროვნებდა პოეტის ლოცვად ქცეული სტრიქონები:

*„ხარს ვგევარ, ნაიალაღარს*
*რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.*
*ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,*
*მძინარიც ამას ვდუდუნებ“.*

**თინათინ ჭყრუნიშვილი**

**— ადამიანური რესურსების მართვიჟს სამსახურის მენეჯერი**

# როგორ მოხდება უძრავი ქონების შეფასება

შორენა გონგლაძე

გუშინ, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, საქართველოში უძრავი ქონების მასობრივი შეფასების პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართება. ღონისძიებას საჯარო რეესტრის, შემოსავლების სამსახურის, ეროვნული ბანკის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კონტროლის პალატის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ქალაქ თბილისის მერიის, აგრეთვე, კომერციული ბანკების, აუდიტორული და დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლები და კერძო შემფასებლები დაესწრნენ.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, პროექტის მიზანია, წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებულ იქნას უძრავი ქონების მასობრივი შეფასების უნიფიცირებული მოდელი, რომელიც პირველ ეტაპზე გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

უძრავი ქონების შეფასების საკითხი აქტუალურია როგორც სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ისე ქონების გადასახადის ადმინისტრირების, იპოთეკური სესხის თუ სხვა ასპექტით. ქვეყანაში ქონების შეფასებას აუდიტორები და შემფასებლები ახდენენ, ადმინისტრაციულ ორგანოებში (შემოსავლების სამსახური, აღსრულების ეროვნული ბიურო, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ქ. თბილისის მერია და სხვ.) კი ამავე მიზნით მოქმედებენ შესაბამისი შეფასების სამსახურები.

როგორც დამსწრეებმა აღნიშნეს, მასობრივი შეფასების სისტემის პროექტი უზრუნველყოფს საქართველოში უძრავი ქონების შეფასებაში უნიფიცირებული, სტანდარტიზებული მიდგომის დამკვიდრებას. სემინარზე ასევე განხილული იქნა შვედური გამოცდილება მასობრივი შეფასების მიმართულებით და საქართველოში ანალოგიური სისტემის ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებათა გეგმა, მასობრივი შეფასების მეთოდოლოგიისა და ტრენინგის ჯგუფის, აგრეთვე საკოორდინაციო საბჭოს ფორმირების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შვედმა ექსპერტმა სოდერბლომმა სემინარის მონაწილეებს გააცნო მასობრივი შეფასების შვედური მოდელი, ხოლო საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა ისაუბრეს უძრავი ქონების ბაზრის ანალიზისა და პროგნოზის სისტემის და ქონების ბაზრის განვითარების მხარდამჭერი სხვა პროექტების შესახებ.

სემინარი მნიშვნელოვანია როგორც კერძო, ისე საჯარო სუბიექტებისათვის. მასობრივი შეფასების პროექტი შექმნის საშუალებას, უძრავი ქონების შეფასება განხორციელდეს ელექტრონულად, ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფით, მაქსიმალური სიზუსტით, უნიფიცირებული მეთოდოლოგიითა და სტანდარტებით.

საქართველოში მასობრივი შეფასების სისტემის პროექტი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (სიდა-ს) მხარდაჭერით ხორციელდება.

# ამერიკა საქართველოს სუვერენიტეტს მყარად უჭერს მხარს

შორენა გონგლაძე

**საქართველოში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ევროპის ქვეყნების ლიდერების მხრიდან უკვე არაერთი განცხადება გაკეთდა. როგორც წინასწარი მონაცემებით იკვეთება, სავარაუდოდ, შემოდგომაზე დაგეგმილი არჩევნები საქართველოსთვის სერიოზული გამოცდა იქნება.**

საქართველომ ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნებით მსოფლიო თანამეგობრობას უნდა ჩააბაროს ტესტი, რომლის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ბატალიებში გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ხელისუფლების დაწყებული პიარკამპანია ორი სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს, ერთი ქვეყნის შიგნით, ე.წ. აღმშენებლობის პროცესი, რომელიც არაპირდაპირი გაგებით აღიქმება და მეორე, მეგობარი ქვეყნებისთვის განკუთვნილი პიარკამპანია, რომელიც ჩვენი მეგობარი ქვეყნების დაბოლების პოლიტიკას, უცხოური ლობისტი ფორმების გამდიდრებას და ქვეყნის ბიუჯეტის დაცარიელებას ემსახურება.

სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის იმიჯს რომ ვერანაირი ლობისტი ფირმა ველარ აღადგენს ფერფლისგან, ეს უდავოა, თუმცა, ამ შემთხვევაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ევროპის ლიდერთა პოზიციას და განწყობას. იმედია ჩვენს უცხოელ მეგობრებს ესმით, რომ ქვეყანა სერიოზული გარდატეხის ზღვარზეა და მათმა დიპლომატიურმა არაფრისმთქმელმა და გაწონასწორებულმა „აღშფოთებებმა“ თავისი დრო უკვე მოჭამა; ამ შემთხვევაში პრინციპული და არსებულ რეალობას მორგებული პოზიცია იქნება საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესები შესაძლოა უმართავი გახდეს. ის, რომ ქვეყანა უკვე აფეთქების ზღვარზეა, ამას არაერთი უცხოელი თუ ქართველი ანალიტიკოსი აღნიშნავს. ფაქტია, რომ ყველაფერი ძველ კალაპოტში ველარ გაგრძელდება და ყველაზე მთავარი, ოპოზიცია, რომელიც ლამის იყო სალათას ძილს მიეცა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ პოლიტიკური სამარიდან ამოათრია.

ჩვენს გაპარტახებულ, ათას პარტიულ კლდეღრეზე გადამხტარ ოპოზიციას ალბათ არ ეწყინება თუ ვიტყვით, რომ ნებისმიერი რიგითი ჭორვილელი მათზე მეტ მხარდაჭერას მარტო იმისთვის მიიღებს, რომ ივანიშვილის თანასოფლელია. ასე რომ, იმაზე მეტი ღვთის წყალობა, რაც ამ გაუბედურებულმა და რეიტინგგამქრალმა, პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლილმა ოპოზიციამ მიიღო. ალასანიას, რესპუბლიკელებსა და ივანიშვილის გარშემო მორბენალ წვრილფეხობას, ალბათ, ყველას ერთად, ფანტაზიაც არ ეყოფოდათ იმის წარმოსადგენად, რაც დღეს ხდება. ფორტუნამ მათთვის კიდევ ერთხელ გამოანათა. ივანიშვილის სახელს ამოფარებულნი კიდევ ერთხელ შეეცდებიან, ქვეყნის სათავეში მოსვლის მრავალწლიანი ოცნება რეალობად აქციონ, ივანიშვილის გარეშე ხომ მათი პარტიები მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში აღიქმებიან პოლიტიკურ პარტიებად, მათ მიმართ საზოგადოების ნდობა ნულს ქვემოთაა.


ჰილარი კლინტონი

მოკლედ, ახალი არაფერი მითქვამს, თუ ჩვენი მეგობარი ქვეყნების ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებებს გადავხედავთ, ალბათ, ისინიც დაახლოებით იგივეს ფიქრობენ. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნები დამატებითი შესაძლებლობები იქნება საქართველოსთვის, რომ დემოკრატიული ღირებულებების მიმართ ერთგულება წარმოაჩინოს.

კლინტონმა ეს განცხადება გააკეთა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე თავიანთ კოლეგებთან ოთხი ასპირანტი ქვეყნის – ბოსნია– ჰერცეგოვინას, მონტენეგროს, მაკედონიის და საქართველოს თაობაზე, რომელიც ჩიკაგოში ნატოს ორდღიანი სამიტის დასკვნით დღეს გაიმართა.

კლინტონმა განაცხადა, რომ ეს შეხვედრა ნატოს მიერ ღია კარის პოლიტიკის ერთგულების დასტურია და დასძინა: „მჯერა, რომ ეს იქნება ბოლო სამიტი, რომელიც არ არის გაფართოების სამიტი“.

შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ოთხიდან კონკრეტულად თითოეულ ასპირანტ ქვეყანაზე ისაუბრა.

რაც შეეხება საქართველოს, კლინტონმა განაცხადა, რომ მოკავშირეები „ძალიან მადლიერნი არიან მისი წვლილის გამო“ ისაფ-ის ოპერაციაში და აღნიშნა, რომ შემოდგომაზე საქართველო ალიანსის ის არაწევრი სახელმწიფო იქნება, რომელსაც ყველაზე მეტი სამხედრო ეყოლება ავღანეთში.

„საქართველომ განახორციელა დემოკრატიული რეფორმები და მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები დამატებითი შესაძლებლობები იქნება საქართველოსთვის, რათა დაანახოს მსოფლიოს, რომ ის ნატოს დემოკრატიული ღირებულებების ერთგულია“, – განაცხადა კლინტონმა.

„ჩვენ მყარად ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. მივესალმებით საქართველოს ძალის გამოუყენებლობის პირობას და რუსეთს საპასუხო ნაბიჯის გადადგმისკენ მოვუწოდებთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბუქარესტის გადაწყვეტილებას და ყველა შემდგომ გადაწყვეტილებებს საქართველოს შესახებ“, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

ნატოს და ასპირანტი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ თავმჯდომარეობდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ ოთხ ქვეყანას „განსაკუთრებული ადგილი უკავია ნატოს პარტნიორებს შორის“.

„დღევანდელი შეხვედრა ცხადყოფს, თუ რამდენად ძლიერადაა დაკავშირებული თქვენი ოთხი ქვეყანა ალიანსთან და რამდენად გვინდა ჩვენ ამ ურთიერთობების შემდგომი გაძლიერება“, – მიმართა ვერშბოუმ ასპირანტი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს.

– ამ გამოსვლაში რამდენიმე მომენტია საყურადღებო, მაგალითად, ის, როდესაც კლინტონი აცხადებს, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნები დამატებითი შესაძლებლობები იქნება საქართველოსთვის, რომ დემოკრატიული ღირებულებების მიმართ ერთგულება წამოაჩინოსო, საინტერესოა, რომელ დემოკრატიულ ღირებულებებს გულისხმობდა ჩვენი უცხოელი მეგობარი, მაგრამ ფაქტია, რომ დემოკრატიული პრინციპები და მათი დაცვა ისეთივე შორეული ოცნებაა, როგორც ნატოში შესვლა. ასე რომ, ავტორიტარიზმიდან, რომელიც სააკაშვილის მთავრობამ დიდი მონდომებით აშენა, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

# სააკაშვილი ტყვეობაშია მოქცეული

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ „კონსერვატორული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერ ბიძინა გუჯაბიძესთან

***– ბატონო ბიძინა, სააკაშვილმა ბოლო პერიოდში საკმაოდ მრავლისმეტყველი რეალობის წინაშე დაგვაყენა. ჯერ განაცხადა, სოხუმი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილაო, დაკარგულ ტერიტორიას ქვების გროვა უწოდა, დავით გარეჯის ნაწილს საგარეო საქმეთა სამინისტრო აზერბაიჯანის საკუთრებაში აფიქსირებს და ბოლოს, სააკაშვილი ამერიკაში აცხადებს, მე ისევ პოპულარული პრეზიდენტი ვარო. რას ნიშნავს ეს მოახლოებული მძიმე არჩევნების წინ?***

– იმას, რომ სააკაშვილი რეალობას მოწყდა. მან რეალობის განცდა დაკარგა. არ ვიცი, ეს მას შეგნებულად უნდა თუ თავის ფსიქოლოგიურ განწყობას ამით იქმნის, თითქოს ყველაფერი კარგადაა. ამასთან, მის ირგვლივ მყოფებს სააკაშვილი აიძულებს, მის მიერ შექმნილი ილუზორული სამყაროს მძევალი იყოს. სააკაშვილს ვერავინ ვერ უბედავს იმის თქმას, რომ რაც მან თქვა, რეალობას არ შეესაბამება და რაიმეს შესწორებას გარემოცვა ვერ უბედავს. გასაგებია, რომ ამ განცხადებებს ისმენს დიპკორპუსი და საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგრამ დიპკორპუსი არ არის ჭკუის მასწავლებელი და პედაგოგი მიხეილ სააკაშვილისა. მათ თავიანთი შეხედულებები აქვთ, მაგრამ ისინი თავიანთი ქვეყნის ინტერესებს ატარებენ. ისინი აქ სააკაშვილის აღსაზრდელად არ არიან ჩამოსული.

***– აგვისტოს ომის დროს სააკაშვილს დასავლეთის და იგივე ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერა ძალიან სჭირდებოდა. დღეს მათი აზრი ბოლომდე იგნორირებულია სააკაშვილის მხრიდან?***

– კი. ამერიკამ უკვე დაიწყო თავისი შეხედულებების და განწყობების გადახედვა სააკაშვილის პიროვნებისა და, საერთოდ, მისი მმართველი გუნდის მიმართ. ეს აშკარად ჩანს ამერიკის ელჩის გამოსვლებში; არა მარტო ამერიკის, მთელი დასავლეთის. დასავლეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები – ყველა უკვე ეჭვის თვალით უყურებს სააკაშვილის აჟიოტაჟს. საქართველოში მას „ჟრიამულა“ კი დაარქვეს, მაგრამ ეს ცოტა მოფერებითი სახელია. მაგრამ სერიოზულად რომ ვთქვათ, კაცი მთლიანად მოწყვეტილია რეალურ სამყაროს. ეს ძალიან ცუდია თვითონ მისი პიროვნებისათვის. ადამიანმა როცა იცის, რა ელის ქვეყანას მისი არასწორი ნაბიჯების გამო, ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადადგას, მაგრამ სააკაშვილს რეალობის აღქმა უკვე აღარ შეუძლია. რაც შეეხება იმას, რომ ამერიკაში თავის თავს პოპულარული პრეზიდენტი უწოდა, ეს ნიშნავს, რომ მას უნდა, რომ ასე იყოს. მას მრჩევლები ვერ ეტყვიან, რა არის რეალობა და რა განწყობებია ხალხში. არა მგონია, რომ სააკაშვილმა არ იცოდეს რეალობა, თუმცა სხვანაირად ვერ მოიქცევა. იმდენად უკუღმართად წაიყვანა თავისი მმართველობა და ისეთი გარემო შექმნა, რომ უკან დასახევი გზა აღარ დარჩა. თვითონ ეს მმართველობის სტილია ასეთი – ავტორიტარიზმის, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, ისეთი ვითარება უნდა შექმნას, რომ ამ გარემოს ტყვეობაში იყოს. ამას ფსიქოლოგები ხსნიან და იციან, ამის სიმპტომები რა არის. რადგან სააკაშვილი ასეთ ტყვეობაშია მოქცეული, ამას მოსახლეობა ხედავს. აქედან რომ 50 ავტობუსით წაიყვან ხალხს ქობულეთში ან სადმე და იქაურ მოსახლეობას აჩვენებ და ეტყვი, ყველაფერი კარგადაა და ტაშს დააკვრევინებ, მოსახლეობა ხომ ყველაფერს ხვდება.

***– რა აზრის ხართ იმასთან დაკავშირებით, რაც დავით გარეჯთან მიმართებაში ხდება?***

– ეჭვი მაქვს, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი პრობლემა. ალიევს წინ არჩევნები ელოდება. მართალია, თავად არ იყრის კენჭს და მისი მეუღლე იყრის, მაგრამ მას სჭირდება დადებითი განწყობის შექმნა აზერბაიჯანულ მოსახლეობაში, რომ ამომრჩეველმა ხმა მისცეს. დადებით მოვლენაში რას ვგულისხმობ, აშკარაა, რომ ყარაბაღის პრობლემა ვერ მოაგვარა და მას სჭირდება უფრო მეტი ეროვნული ნაბიჯები გადადგას და ხალხს მოაჩვენოს, რომ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისთვის იბრძვის და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიმართულებით. ამით ალიევი თავისი ქვეყნის და მისი ოჯახის საქმეს აკეთებს, მაგრამ ამავე დროს ეჭვი გვაქვს, რომ სააკაშვილმა შეიძლება გარეჯის დათმობა გაცვალოს საქართველოში არსებულ აზერბაიჯანულ ხმებში.

***– აზერბაიჯანის წარმომადგენელმა მიანიშნა, რომ ეს პრობლემა შეიძლება ორი ქვეყნის გარე ინტერესებიდან გამომდინარეობდეს და საქართველო-აზერბაიჯანის არაკეთილმოსურნეების ინტერესებში იჯდეს.***

– არც მაგას არ გამოვრიცხავ.

***– პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილს ძალიან აწყობს გარკვეული სახის კონფლიქტი და ამ მიზეზით არჩევნების გადადება.***

– კი. სააკაშვილს აწყობს მინი კონფიქტი რუსეთთან, მაგრამ რამდენად მინი იქნება, ეს არავინ არ იცის. რუსეთი თავის საქმეს აკეთებს და რეგიონში თავისი გავლენის განმტკიცებას ცდილობს. სააკაშვილი უკვე იმდენად არაადეკვატურია, რომ აღარ იცის, რა გააკეთოს. ვფიქრობ, იმით, რაც დავით გარეჯთან დაკავშირებით ხდება, ის აზერბაიჯანულ ხმებს მიიღებს. ასე რომ, ძალიან რთული ვითარებაა. როცა ქვეყნის პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ასე ხელაღებით მოიხსენიებს სოხუმს და მერე პრეზიდენტის პრესსამსახური სააკაშვილის გამონათქვამებში სიტყვებს ამატებს; როცა საგარეო საქმეთა სამინისტრო ამბობს, დავით გარეჯი არასდროს არ იყო საქართველოს შემადგენლობაშიო და ამას უდასტურებს კულტურის მინისტრი, ეს არის გუნდის განწყობა.

***– ბევრი პოლიტიკოსი საუბრობს, რომ სააკაშვილმა საგარეო პრიორიტეტებს და კურსს გადახედა და რუსეთისადმი ინტერესები გააძლიერა. ასეა?***

– სააკაშვილს ყოველთვის რუსული კურსი ჰქონდა, უბრალოდ, ამას ფარავდა. ამჯერად რკინიგზის გაყიდვას აპირებს. ამბობენ, რომ საწყის ეტაპზე აქციების 25%-ს გამოვიტანთ ლონდონის ბირჟაზე, მეტს არაო. საწყისი ეტაპი რას ნიშნავს – ამ გარიგებით, როგორც დაიწერა, საქართველო მიიღებს 300 მლნმდე.

***– ფული ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ სჭირდება და ამიტომ ყიდის რკინიგზას?***

– ალბათ. მთელი დასავლეთი გეუბნება, რომ სტრატეგიული ობიექტები არ ჩააბარო შენს მოწინააღმდეგე მხარე რუსეთს და ეს პირიქით იქცევა. თან ჩვენ გვაბრალებს რუსეთუმეობას და პრორუსულობა კი, ფაქტობრივად, მისი მმართველობის თანმდევი პოლიტიკაა.

***– ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ სააკაშვილის ბიძის – თემურ ალასანიას ინტერესებშია რკინიგზის გაყიდვა.***



– ჰო. ამ საკითხში მრჩეველი ალასანიას გარდა, მას ალბათ არავინ არ ყავს. ბენდუქიძე ყავდა მრჩევლად, ის მრჩევლად რჩება, თუმცა ძირითადი მრჩეველი მაინც თემურ ალასანიაა. ალასანია ისე არაფერს არ გააკეთებს, თუკი თავის ინტერესები არ იქნება დაკმაყოფილებული.

***– ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ სამეგრელოში შიში გადატეხილია. ასეა სხვა რეგიონებშიც?***

– კი. შიშის გატეხვა რეალური ცვლილებების დასაწყისია. მე თითქმის 15 რაიონში ვარ ნამყოფი ამ ბოლო პერიოდში. ხალხის განწყობა აშკარად უკეთესობისკენ არის შეცვლილი. ჯერ ერთი, შიში რომ დაძლეულია, ეს იქიდანაც ჩანს, 500 კაციან დარბაზში შეხვედრაზე 1000 კაცი რომ მოვა. ანუ დარბაზში ტევა არ არის, მაგრამ ხალხი მაინც მოდის.

***– შეიძლება ამ ადამიანების ნაწილი ხელისუფლების მიერ არის შემოგზავნილი.***

– გამორიცხულია. განწყობებს ხომ ვატყობთ. პროვოკატორები არიან, რომლებიც იგივე ფოთში გამოჩნდნენ.

***– ადგილებზე იკვეთება, რომ მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების და პოლიციის თანამშრომლებს აღარ დაემორჩილება არჩევნების დღეს?***

– უფრო მეტსაც გეტყვი, ხალხი მათ აღარ ემორჩილება. ადრე თუ ახერხებდნენ, რომ ეს ხალხი ავტობუსებიდან ჩამოეყარათ და ოპოზიციის შეხვედრებზე არ გამოეშვათ, ახალა მაგასაც ვერ ახერხებენ.

***– რაზე მიანიშნებთ, ადგილებზე ხელისუფლება შესუსტდა?***

– არა. იბრძვიან მაქსიმალურად, მაგრამ ხალხის მართვა-დაშინებას ველარ ახერხებენ.

# საქართველოს ეროვნული გალერეა დიმიტრი შევარდნაძის სახელობისაა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული გალერეა, რომელსაც საზოგადოება, რატომღაც, ცისფერ გალერეას უწოდებდა, ამიერიდან ცნობილი ქართველი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი შევარდნაძის სახელს ატარებს. ეს ინიციატივა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეკუთვნის. საგანგებო ცერემონია ეროვნულ გალერეაში გაიმართა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ეროვნულ გალერეაში პირველად გამოიფინა დიმიტრი შევარდნაძის მიერ გადაღებული ფოტოები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის რამდენიმე ფერწერული ტილო, ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები ირაკლი მახარაძის ფილმიდან „დიმიტრი შევარდნაძე“, გამოქვეყნდა დიმიტრი შევარდნაძის პირადი წერილები, მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან – ბრძანება და ცნობა დიმიტრი შევარდნაძის დახვრეტის შესახებ.



ამავე დღეს ეროვნულ გალერეაში გაიხსნა ახალი კაფე, რომელიც ამიერიდან მუზეუმის ყველა დამთვალიერებელს უმასპინძლებს. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, მინისტრის მოადგილეები დავით ცხადაძე, მაკო ჭოლოშვილი, დიპლომატიური კორპუსი და მიწვეული სტუმრები.

– სწორედ დიმიტრი შევარდნაძის სახელს უკავშირდება მხატვართა კავშირის პირველი მსგავსი ორგანიზაციის – ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დაფუძნება. იგი იყო ეროვნული სამხატვრო გალერეის შექმნის ინიციატორი და მისი ხელმძღვანელი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „მეტეხის“ დაარსების სულისჩამდგმელი და პირველი დირექტორი, რომლის ბაზაზეც შემდგომში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი შეიქმნა. დიმიტრი შევარდნაძემ თავისი ცხოვრება მიუძღვნა ქართული საზოგადოების კულტურის ინტერესებს. ის სწავლობდა მიუნხენის აკადემიაში, სადაც დაიწყო ფოტოგრაფირება და მძიმე დღეებში რეტუშორადაც კი მუშაობდა ერთ-ერთ ფოტოსახელოსნოში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი თაოსნობით უამრავი რამ გაკეთდა – პირველად საქართველოს ისტორიაში მოეწყო ძველი ქართული საეკლესიო ფრესკების გამოფენა, ჩატარდა ექსპედიცია თურქეთის საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, დაარსდა საქართველოს ეროვნული გალერეა, დაფუძნდა სამხატვრო აკადემია, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. დიმიტრი შევარდნაძე წარმატებით მოღვაწეობდა როგორც თეატრის, ისე კინომხატვრობის დარგშიც. მან გააფორმა ქართული კინოფილმები „ქრისტინე“, „ელისო“, „ვინ არის დამნაშავე“, ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული ფრესკების სტილში, არის ორიგინალური ქართული შრიფტის, საფოსტო მარკებისა და ფულის ნიშნების, უნივერსიტეტის გერბის ავტორი. დიმიტრი შევარდნაძემ დიდი წვლილი შეიტანა მუზეუმის კოლექციების დაკომპლექტების სფეროში. მისი დამსახურებაა ნიკო ფიროსმანაშვილის შესწავლა და მისი ნამუშევრების სამუზეუმო კოლექციის კუთვნილებად ქცევა, აგრეთვე ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლა და დაცვა, ამიტომ ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, ეროვნულ გალერეას სწორედ დიმიტრი შევარდნაძის სახელი მივანიჭოთ, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

დიმიტრი შევარდნაძე 1937 წელს დახვრიტეს, ის საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მისმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ და განუსაზღვრელმა ღვაწლმა ქვეყნის წინაშე განაპირობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივა, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნულ გალერეას დიმიტრი შევარდნაძის სახელი მიენიჭა.

# მულტი-პულტიმ გამარჯვებულები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

მულტი-პულტის სამყარომ თავისი ერთგული მეგობრები სადღესასწაულო ცენტრში ფოტო-კონკურსის „ჩვენი მეგობრული ოჯახი“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე მიიწვია.

როგორც მულტი-პულტის მენეჯერმა ნატალია საგინაშვილმა განაცხადა, კონკურსში, რომელიც კომპანიამ საკუთარი ფეისბუქის გვერდზე ჩაატარა, 100 ოჯახი იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებული თამუნა ხიდაშელი გახდა, რომელმაც 2737 ხმა დააგროვა და მოიპოვა დიდი უპირატესობა კონკურსის სხვა მონაწილეებთან შედარებით.

– ჩვენი სპექტაკლების ერთგული მაყურებელი და მულტი-პულტის ზღაპრული სამყაროს პატარა სტუმრები ალბათ შეამჩნევდნენ, რომ ჩვენ არა ერთი კონკურსი უკვე წარმატებით დავასრულეთ, ამიტომაც გადავწყვიტეთ წამოგვეწყო ახალი კონკურსი, რომელიც გაცილებით აზარტული და შინაარსიანი აღმოჩნდა, თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, პრიზები გვქონდა მრავალფეროვანი. კონკურსში მონაწილეობის უფლება მივეცით ნებისმიერ მსურველს, რომელსაც უნდა აეტვირთა თემატური ფოტო – ოჯახი. მასში ოჯახის სრული შემადგენლობა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. კონკურსში მონაწილე ფოტოები შეფასდა 5 ბალიანი სისტემით, რომელიც მულტი-პულტის სამყაროს ფეისბუქის გვერდის მომხმარებლებმა დაწერეს საკუთარი შეხედულებისამებრ. რაც უფრო კრეატიულია იყო ფოტო, მით უფრო მეტი შანსი ჰქონდა მონაწილეს გამარჯვებისთვის. კონკურსში ჩართვის უფლება ნებისმიერ მსურველს ნებისმიერ დროს შეეძლო. ამჯერად მულტი-პულტის სამყარომ გამოავლინა სამი გამარჯვებული. პირველი ადგილის მფლობელ თამუნა ხიდაშელის ოჯახი გაემგზავრება კურორტ საირმეში, სადაც დაისვენებენ ერთ შაბათ-კვირას სასტუმრო „საირმეში“ ოთხკაციანი ლუქსის ტიპის ოთახში (სამჯერადი კვებით). გამარჯვებული ასევე დაჯილდოვდა დაბადების დღის აღსანიშნავი ვაუჩერით სამ მისთვის სასურველ ზღაპრის გმირთან ერთად და ბარამბინოს სტუმრობით მისთვის სასურველ ნებისმიერ ადგილას. მულტი-პულტის სამყარომ არც მეორე და მესამე ადგილზე გასული ოჯახები დატოვა გულდაწყვეტილი. მათ უამრავი საჩუქარი მიიღეს მულტი-პულტის სამყაროს პარტნიორებისაგან. ჩვენი კონკურსის გამარჯვებულთათვის პრიზები დააწესეს „ბარამბომ“, სათამაშოებისა და წიგნების მაღაზიათა ქსელმა „პეპელამ“, ინგლისური ენის შემსწავლელმა ცენტრმა, სტომატოლოგიურმა კლინიკამ, სილამაზის სალონმა და სხვა კომპანიებმა. მულტი-პულტის სამყარომ კონკურსის მონაწილე ოჯახებისთვის და ყველა სტუმრისთვის დაუვიწყარი გასართობი პროგრამაც მოამზადა, – აღნიშნა ნატალია საგინაშვილმა.

მულტი-პულტის სამყარომ პატარები თეატრის ინოვაციურ სპექტაკლ-სერიალზეც მიიწვია. ინოვაციური პროექტი მდგომარეობს იმაში, რომ მულტი-პულტის სამყაროს თეატრი და კომპანია „ელს ქიდს“ თავის ერთგულ პატარა მაყურებელს სთავაზობს პროექტს, რომელიც პირველად განხორციელდება საქართველოში.

– ეს არის უპრეცედენტო მეთოდოლოგია ჩვენი მომხმარებლისთვის 3 წლის ასაკიდან 14 წლამდე ბავშვებისთვის, რაც მოიცავს ინგლისური ენის შესასწავლად სპექტაკლ-გაკვეთილის სერიალს. პროექტის ინოვაციურობა იმაში გამოიხატება, რომ პატარები ინგლისურ ენას სპეციალურად მათთვის დადგმული ინტერაქტიული სპექტაკლის სახით დაეუფლებიან. სპექტაკლ-გაკვეთილში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები, დისნეის ცნობილი და ყველასათვის საყვარელი პერსონაჟების დიდი თოჯინები და კომპანია „ელს ქიდსის“ პედაგოგები. სპექტაკლის მსვლელობაში ჩართულია მაყურებელი. ყოველი გაკვეთილი-სპექტაკლი მოიცავს დიალოგების გაცოცხლებას დისნეის მულტიპლიკაციური ფილმებიდან, სიმღერების და ცეკვების შესრულებას ორიგინალურ ენაზე. სპექტაკლი-გაკვეთილი საათნახევარს გასტანს და ეს იქნება დაუვიწყარი მოგზაურობა ინგლისური ენისა და დისნეის ზღაპრების ჯადოსნურ სამყაროში. უამრავი საინტერესო აქტივობა, მხიარული თამაშები ზღაპრის პერსონაჟებთან და კარაოკე – ეს ის ხერხებია, რომელიც ყველა სერიის სპექტაკლ-გაკვეთილში იქნება გამოყენებული, – განმარტა ნატალია საგინაშვილმა.

# კინო იაფდება

ეკა ირემაშვილი

„მოდი წავიდეთ კინოში“ ასე დაარქვეს კინოთეატრების ქსელის მესვეურებმა ახალ პროექტს, რომელიც მომხმარებელს 3 სხვადასხვა პროდუქტზე ფასდაკლებას სთავაზობს. მომხმარებლების სურვილის გათვალისწინებით, ბილეთის ფასი შემცირდა და მისი ღირებულება 6,50-დან 9,50 ლარამდე იმერყევებს. 3 განზომილებიანი ფორმატის ფილმების შემთხვევაში კი აღნიშნულ ფასებთან შედარებით, ბილეთის ფასი მხოლოდ 1 ლარით გაიზრდება. გარდა ამისა, კინოთეატრები კინომოყვარულებს სთავაზობს ახალ პროდუქტს – „საოჯახო და მეგობრული პაკეტი, ანუ 3+1“, რომლის შეძენისას, მომხმარებელი ყოველი 3 ბილეთის ყიდვის შემთხვევაში, მეოთხეს უფასოდ მიიღებს. ასევე, მნიშვნელოვან ფასდაკლებას ითვალისწინებს „რუსთაველის“ და „ამირანის“ კიდევ ერთი ახალი პაკეტი – თუ ბილეთს სეანსამდე 2 დღით ადრე შეიძენთ, მის საფასურად მხოლოდ 3 ლარის გადახდა მოგიწევთ.

კინოთეატრების ადმინისტრაციის განცხადებით, ასეთი ტიპის ახალი პროდუქტების დანერგვა მომავალშიც გაგრძელდება, რათა ყველასათვის, ვისაც უყვარს კინო, ახალი ფილმების ნახვა უფრო ხელმისაწვდომი და კომფორტული გახდეს.

პირველი ფილმი, რომელზეც შეგეძლებათ ყველა ამ შეთავაზებით ისარგებლოთ, არის ფილმი, რომლის მსოფლიო პრემიერაც 18 მაისს დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად საქართველოს კინოთეატრებშიც გაიმართება – „რა გელოდება, როცა ბავშვს ელოდები“. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ: ჯენიფერ ლოპესი, კამერონ დიასი, კრის როკი, და სხვა ცნობილი ადამიანები.

ფილმი „რა გელოდება, როცა ბავშვს ელოდები“ ჰეიდი მარკოფის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით არის გადაღებული. წიგნი 30 ენაზე ითარგმნა და მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარს შორის, განსაკუთრებული პოპულარობით ფეხმძიმე ქალბატონებში სარგებლობს. წიგნი „ნიუ იორკ თაიმსმა“ გამოსცა და მისი ავტორი 2011 წელს მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაშიც მოხვდა.

კინოთეატრების ქსელის ახალი პროექტი ფილმების გახმოვანების ხარისხის დახვეწასაც ჰპირდება მაყურებელს. ამ მიზნით, ევროპელი სპეციალისტების დახმარებით, სტუდია „ბრავო“-სთან ერთად, დაიწყო პირველი ლიცენზირებული დოლბი სისტემის სტუდიის შექმნაზე მუშაობა. ახალი მოთხოვნებით, ფილმებს დუბლირების გამოცდილების მქონე კვალიფიციური კადრები გაახმოვანებენ (მარჯანიშვილისა და სხვა თეატრების გამოცდილი მსახიობები). თანამედროვე მენეჯმენტის პირობებში, მცირდება გახმოვანების ხარჯებიც.

ერთი სიტყვით, კინოში ფასთან ერთად ხარისხიც გაუმჯობესდება და მაყურებლისთვის მისაღები და ხელმისაწვდომი გახდება.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## SMS-განცხადებები - 3090

● ვყიდი სოფ. ასურეთში 2-სართულიან სახლს, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით. ტელ.: 57-74-24,790-55-58-62. გია.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეციტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი „მედიგარდი“ გთავაზობთ კუჭისა და ნაწლავების ექოსკოპიას, რაც გასტროსკოპიისა და რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატივაა. ამავე კლინიკაში გთავაზობთ მკურნალობას სამკურნალო მცენარეებით, ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და სხვა. მისამართი: ფალიაშვილის ქ.№17. ტელ: 225-20-50; მობ: 599-57-25-08.

● ნანა ქიბროწაშვილი, შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ფოტოსურათით მოგიხსნით: პათოლოგიურ სიმთვრალეს, ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, ძილში მოუსვენრობას, კოშმარულ სიზმრებს, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, დაძაბულობას, ოჯახურ კონფლიქტებს. მის: წერეთლის 57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი 7. მიღება 12-დან 15 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ქუთაისი ბრინჯაოს პრიზიორია

**ქუთაისი _ სოხუმი 71:64**

(15:17, 19:15, 23:13, 14:19)

**ქუთაისი**: ფაშაევი (16ქ), ბაბუნაშვილი (11ქ), დიდია (7ქ), გ.ბარბაქაძე (8ქ), მათიაშვილი (7ქ), კოჰადარევიჩი (17ქ,9მ), დ.ბარბაქაძე (5ქ)

**სოხუმი**: ჩლაიძე (9ქ) ათუაშვილი (21ქ,9მ), ჯგერენაია (14ქ,9მ), ჩაჩიბაია (6ქ), გაფრინდაშვილი (9ქ), ჯანაშია, კანკია, როგავა (2ქ), ქადარია (3ქ)

2012 წლის სუპერლიგის მიმდინარე სეზონში მესამე ადგილი „ქუთაისმა“ დაიკავა, რომელმაც საკუთარ მოედანზე, ისევე როგორც შარშან, „სოხუმი“დაამარცხა – 71:64 და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

მატჩის პირველი ნახევარი ძალიან დაძაბული გამოდგა და გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. საწყის პერიოდში სოხუმელები დაწინაურდნენ (17:15), თუმცა მეორე მეოთხედის მიწურულს წინ მასპინძლები გავიდნენ, რომლებმაც ტაიმში 2-ქულიანი სხვაობით, 34:32 იმარჯვეს.

მესამე მეოთხედში ქუთაისელებმა საკამოდ დამაჯერებლად იასპარეზეს. სამწუთიანი მონაკვეთი მეტოქეს 19:0 მოუგეს და მატჩის ბედიც მაშინ გადაწყვიტეს. საბოლოოდ, დასვნითი მეოთხედის წინ სოლიდური სხვაობით, 57:45 დაწინაურდნენ.

მოპოვებული უპირატესობა „ქუთაისმა“ მეოთხე პერიოდშიც შეინარჩუნა, მაგრამ ზღვისპირელები ბოლომდე გაიბრძოლეს და მატჩის ძირთადი დროის დასრულებამდე 1,03 წუთით ადრე სოხუმის გუნდმა ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირეს – 62:69. თუმცა, მეტზე ძალები აღარ ეყოთ, ამასთან გადამწყვეტ მომენტში მატჩზე კონცენტრაცია ქუთაისელებმა შეძლეს და მიმდინარე სეზონში მესამე ადგილი დაიკავეს.

ქუთაისელებს 17 ქულით სერბმა ლეგიონერემა დარკო კოჰადარევიჩმა ულიდერა, რომელსაც ერთი ქულით ზაურ ფაშაევი ჩამორჩა, ხოლო „სოხუმის“ შემადგენლბაში 21 ქულით თავი სერგო ათუაშვილმა გამოიჩინა, რომელმაც 9 მოხსნაც მიითვალა და ორმაგ დუბლამდე ერთდერთი მოხსნა დააკლდა. ზღვისპირელთა შემადენლობაში კარგად გაისარჯა გიორგი ჯგერენაიაც, რომელმაც საკუთარ გუნდს 14 ქულა და 9 მოხსნა შესძინა.

**მატჩის შემდეგ:**

**დავით უსტიაშვილი, ქუთაისის მწვრთნელი:**

– შეხვედრამ საკმაოდ დაძაბულად ჩაიარა. მიუხედავადა იმისა, რომ „სოხუმი“ ლიდერთა გარეშე თამაშობდა (ლაშა ფარლალავას და ლევან ფაცაციას ავადმყოფობის გამო არ უასპარეზიათ), გუნდმა ძალიან კარგი თამაში აჩვენა. პირველი ტაიმი განსაკუთებით საინტერესო იყო, თუმცა მესამე მეოთხედში სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ, რაც მატჩის ბოლომდე ხელიდან არ გაგვიშვია. რაც შეეხება ფინალურ სერიას, მას რა თქმა უნდა თვალყურს ვადევნებ და მოხარული ვარ რომ ასეთი საინტერესო და დაძაბული მატჩების მომსწრენი ვართ.

**თეიმურაზ კანკია, სოხუმის მწვრთნელის ასისტენტი:**

– ავადმყოფობის გამო ჩვენს გუნდს ლაშა ფარლალავა და ლევან ფაცაცია აკლდა. ჯანმრთელობის პრობლემების გამო ჩვენთან არც მთავარი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, განსაკუთრებით კი მატჩის პირველ ნახევარში. მესამე მეოთხედში თამაში არ წაგვივიდა და ვერაფერი გავაწყეთ, მეტოქე კი სოლიდური სხვაობით დაწინაურდა. შეხვედრის ბოლოს თამაშის გამოსწორება შევძელით, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვების მოსაპოვებლად ძალა აღარ გეყო.

# ზესტაფონის ბაზამ ჟურნალისტებს უმასპინძლა

საჩემპიონო მატჩის წინ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ ჟურნალისტები კლუბის ბაზის მშენებლობაზე მიიპატიჟა და არსებული სიტუაცია გააცნო. იმერული კლუბი უკვე მესამე წელიწადია, შთამბეჭდავ პროექტს ახორციელებს.

„ზესტაფონს“ ბაზაზე ორი სრულფასოვანი ბუნებრივსაფარიანი მოედანი აქვს და ნებისმიერი უმაღლესი ლიგის გუნდს შეშურდება, იმდენად მაღალი ხარისხის საფარია ორივე მოედანზე. მეტიც, თავად ზესტაფონელთა სტადიონის საფარი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში და ბაზაზე უფრო კარგი ხარისხის აგია.

პირველი მინდორი ექსპლუატაციაში 2010 წლის 23 ნოემბერს ჩადგა მწყობრში, სადაც ამ მომენტისთვის გუნდის დუბლშემადგენლობა ვარჯიშობს.

მასზე უკეთესი ხარისხის მეორე მოედანი უკვე ამოქმედდა და სწორედ მოედანი წარუდგინა მედიას კლუბის ხელმძღვანელობამ.

როგორც კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელი სერგო ფუტკარაძე გვითხრა, პირველი მოედნისგან განსხვავებით, მეორე შედარებით გვიან ამოქმედდა, რამაც განაპირობა უკეთესი ხარისხი, რადგან ბალახს მოძლიერების საშუალება მიეცა.

– პრაქტიკამ მოგვცა სწავლის საშუალება და მეორე მოედანზე, სანამ ბალახი არ მომაგრდა, გუნდი სავარჯიშოდ არ შესულა. მინდორი შემოდგომაზე დაიგო და მთელი ზამთარი „ისვენებდა“. დიდი გუნდი სწორედ მეორე მოედანზე ვარჯიშობს, – განმართა ფუტკარაძემ.

პირველი მოედნის გვერდით სასტუმროს კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც სამსართულიანი იქნება და ყველა დამხმარე შენობა-ნაგებობას მოიცავს.

აქ განთავსდება სამრეცხაო, საკუჭნაო, თეორიული მეცადინეობის ოთახები. მესამე სართულზე იქნება 65-ადგილიან სასტუმრო, რომელიც საშუალებას იძლევა, როგორც მასპინძელი, ასევე სტუმარი გუნდი დააბინავოს. მეორე მოედანი საერთაშორისო ტურნირებისთვის არის განკუთვლი და შესაძლოა, სასტუმროში ორი სტუმარი გუნდის განთავსებაც.

– გეგმის მიხედვით, კარკასი აქამდეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ამინდებმა შეგვიშალა ხელი. აგვისტოშივე დაიწყება კოსმეტიკური რემონტი. მოსაპირკეთებელი სამუშაოები რამდენიმე თვეს გასტანს და მომავალი სეზონის მეორე ნახევარს უკვე აქ შეხვდება გუნდი, – გვითხრა ფუტკარაძემ.

გარდა სასტუმროსი, ბაზას ექნება სატრენაჟორო დარბაზი და ჩოგბურთის კორტები. მეორე მოედნის გვერდით კი 300 კაცზე გათვლილი ტრიბუნა შენდება, რომელიც, როგორც კლუბში განმარტავენ, მეტსაც დაიტევს. ტრიბუნის ძირში სწრაფი კვების ობიექტები განთავსდება.

გარდა ორი მზა მოედნისა, ბაზაზე კიდევ ერთი მინდორია, რომლის საფარი ჯერ დაგებული არ არის. სერგო ფუტკარაძის თქმით, მესამე მოედანზე კლუბს ექსპერიმენტის ჩატარება სურს და გადაწყვეტილი აქვთ მინდორი თავად დათესონ. თუ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა ბალახის მოსამრავლებელი მეურნეობის მოწყობას გეგმავს.

– საცდელი ბალახი პირველი მინდვრის გვერდით გვაქვს დათესილი და საბოლოო გადაწყვეტილებას შედეგის მიხედვით მივიღებთ. გვინდა, რომ ხარისხიანად გაკეთდეს ყველაფერი, – აღნიშნა ფუტკარაძემ.

# ჯვაროსნების ავსტრიული შეკრება გრძელდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ეროვნული ნაკრები, თურქეთთან გასამართი საერთაშორისო ამხანაგური მატჩისთვის მზადებას 22 ფეხბურთელით აგრძელებს. ტრავმის გამო, საწვრთნელ პროცესს ოთარ მარცვალაძე გამოაკლდა. ფეხბურთელი მედიკოსებთან გამოკვლევაზე მიუნხენში ჩავა და მოგვიანებით გახდება ცნობილი ტრავმის სირთულე. ბოლო ვარჯიშზე ინდივიდუალურად დაიტვირთა ზურაბ ხიზანიშვილი, რომელსაც მსუბუქი ტრავმა აქვს. სამაგიეროდ, გუნდს გურამ კაშია და ლევან მჭედლიძე შეუერთდნენ.

ჯვაროსნები ავსტრიულ კურორტ ფლახაუში 16 მაისიდან იმყოფებიან და თურქეთის ეროვნულ გუნდთან მოახლოებული ამხანაგური დაპირისპირებისთვის სრული დატვირთვით ემზადებიან. ნაკრებში გამოძახებულმა ორივე დებიუტანტმა – ნიკა ძალამიძემ და საბა კვირკველიამ ადაპტაცია უკვე გაიარეს და საკუთარი შანსის მოლოდინში არიან.




**ნიკა ძალამიძე:**

– ძალიან გამიხარდა, რომ ნაკრებში თამაშის შანსი მომეცა. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ მოსამზადებელი ეტაპი წარმატებით გავიარო და თამაშს საუკეთესო ფორმაში შევხვდე. ბიჭებს შორიდან ყველას ვიცნობდი; რამდენიმესთან ახალგაზრდულ ნაკრებშიც მითამაშია. ნაკრების გამოცდილი წევრებისგან რჩევებს ვიღებ როგორც მოედანზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. თურქეთთან ამხანაგური თამაში გველის. ასეთ შეხვედრებში კი, მნიშვნელოვანია, გუნდმა შეთამაშება მოახერხოს, რომ შესარჩევ ციკლს ნაკრები კარგად მომზადებული შეხვდეს.

**საბა კვირკველია:**

– ძალიან გამიხარდა, ეროვნულ ნაკრებში რომ გამომიძახეს. ყველა სპორტსმენის ოცნებაა ქვეყნის პირველ გუნდში თამაში. ამ ეტაპზე, შემადგენლობაში მოხვედრაზე ფიქრი შეიძლება ნაადრევია, მაგრამ დიდი გამოცდილებაა, როდესაც ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარჯიშობ. განსაკუთრებით იმ მოთამაშეებთან გამიადვილდა ურთიერთობა, ვისთან ერთადაც ახალგაზრდულში ვიყავი. ნაკრების გამოცდილმა წევრებმა ძალიან კარგი ატმოსფერო დაგვახვედრეს. მთავარია, გუნდი კარგად მოემზადოს, რომ ძლიერ ნაკრებებთან თამაშებს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. მსოფლიო შესარჩევ ციკლში ნამდვილად უმძიმესი თამაშები გველოდება. ნაკრებში კლუბისგან აბსოლუტურად განსხვავებული გარემოა. ამ ეტაპზე, გარკვეული დროა საჭირო, რომ გუნდში თავისუფლად ვიყოთ. იმედია კარგად მოვემზადებით და თურქეთთან წარმატებით ვითამაშებთ. ნაკრების თითოეული წევრი, ვისთანაც ახლო ურთიერთობა მაქვს, ჩემთვის, პირველ რიგში პიროვნებები არიან და შემდეგ, ფეხბურთელები.

**ზურაბ ხიზანიშვილი:**

– გუნდი საკმაოდ კარგ პირობებში იმყოფება და ძალიან კარგია, რომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან გვიწევს ამხანაგური მატჩი. ბოლო ორი წლის მანძილზე, თურქეთი ყველაზე რეტინგული გუნდია, ვისაც ამხანაგურ შეხვედრაში დავუპირისპირდებით. ამჟამად, თურქეთს გაფართოებული შემადგენლობა ჰყავს, რადგანაც მათ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. შესაძლოა, „ქაისერის“ ორმა ფეხბურთელმაც ითამაშოს ჩემს წინააღმდეგ. უკვე ერთი წელია თურქეთის ჩემპიონატში ვთამაშობ და საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. ჩვენს გუნდშიც არიან ახალგაზრდები და სავარაუდოდ, თურქეთიც ახალბედებს მისცემს თავის გამოჩენის შანსს. ძალიან რთული თამაში იქნება; მითუმეტეს, მეზობელ ქვეყანასთან წარმატება მსოფლიო რეიტინგში დიდ წინსვლას მოგვცემს. ჩვენთვის მთავარია, რომ შედეგს მივაღწიოთ. ამისთვის კი, ბოლო წუთამდე ბრძოლაა საჭირო, როგორც, მაგალითად, ჩელსი-ბაიერნის შეხვედრაში მოხდა.

ამასობაში თურქეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ავსტრიულ შეკრებაზე 28 ფეხბურთელი გამოიძახა.

თურქეთის ნაკრების შემადგენლობა: ვოლკან დემირელი, ბეკირ ირტეგუნი, ემრე ბელოზოღლუ, კანერ ერკინი (ყველა ფენერბახჩე), გენკ გონენი, ეგემენ კორკმაზი, ისმაილ კოიბაში, მუსტაფა პეკტემეკი, რუშთუ რეჭბერი (ყველა ბეშიქთაში), სემი კაია, სელჩუკ ინანი, ენგინ ბეიტარი (ყველა გალათასარაი), ბურაკ ილმაზი (ტრაბზონსპორი), სერდარ აზიზი (ბურსა), ალპერ პოტუკი (ესკისეჰირი), სერდარ კურტულუში (გაზიანთეფი), სონერ აიდოგდუ (გენჩლერი), ჰასან ალი კალდირიმი (ქაისერი), ჰამიტ ალტინთოფი, ნური შაჰინი (ორივე რეალი, ესპანეთი), ომერ ტოპრაკი (ლევერკუზენი, გერმანია), არდა ტურანი (ატლეტიკო, ესპანეთი), გოკან ტიორე (ჰამბურგი, გერმანია), ტუნაი ტორუნი (ჰერტა, გერმანია), სერკან სარარერი (ფიურტი, გერმანია), სინან ბოლატი (სტანდარდი, ბელგია), უმუტ ბულუტი (ტულუზა, საფრანგეთი), მეჰმეტ ტოპალი (ვალენსია, ესპანეთი).

შეგახსენებთ, რომ საქართველო-თურქეთის ამხანაგური მატჩი 24 მაისს, ზალცბურგის „რედ ბულ არენაზე“ თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

# ბათუმი ელიტას 4 წლის შემდეგ უბრუნდება

**სპარტაკი _ დინამო 1:3**

თბილისი. ბენდელას სტადიონი

0:1 გოგიტიძე (14), 0:2 ჯორბენაძე (19), 1:2 ჩაფიძე (68პ), 1:3 ლობჟანიძე (85)

**სპარტაკი**: ნადირაძე, ჭაფოძე, ტეტუნაშვილი, ლომაია, ნ.მაისურაძე, შონია (მ.ჯიშკარიანი 31), თუხარელი, სამხარაძე, შარაშენიძე, ჩაფიძე, მელქაძე (ჭოხონელიძე 54)

**დინამო**: ალავიძე, ფარტენაძე, კაჭკაჭიშვილი, ხუხია, მაკარიანი, ლობჟანიძე, გოგიტიძე (თოდაძე 66), თევდორაძე (მუჯირი 70), დიასამიძე (ცნობილაძე 46), ჯორბენაძე, ბაციკაძე

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ბათუმის „დინამო“ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. გია გურულის გაწვრთნილებმა ბოლო ტურში ცხინვალის „სპარტაკს“ გადამწყვეტ შეხვედრაში 3:1 მოუგეს. თავის მხრივ, ცხინვალელები უმაღლესს ტოვებენ.

ორივე გუნდს, მხოლოდ გამარჯვება აწყობდა, სხვა შემთხვევაში საგზურს ვერცერთი მათგანი ვერ მიიღებდა. მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და პირველი ხიფათი მასპინძლებმა შექმნეს, თუმცა თემურ შონიას მიზანმა უმტყუნა.

სამაგიეროდ, გელა გოგიტაძეს დარტმამ მიაღწია მიზანს და მე-14 წუთზე ბათუმელები დაწინაურდნენ – 0:1.

მალევე, ზღვისპირელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს ელიტისკენ – მიხეილ ჯორბენაძემ დიდებულად ითამაშა მეტოქის საჯარიმოში, ერთი მოძრაობით ბურთი თავზე გადაუგდო ბადრი ტეტუნაშვილს და ზუსტადაც დაარტყა – 0:2.

„სპარტაკმა“ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და შეუტია. ვოვა ხაჩიძემ სწრაფ შეცვლასაც მიმართა და გუნდი უფრო წინ გადააწყო. ამის გამო დაცვაში ნაპრალები რჩებოდა, რითაც ბათუმელთა შემტევები ხშირად სარგებლობდნენ. ცხინვალელებსაც შეექმნათ მომენტი, მაგრამ ლევან მელქაძია თავით დარტყმულს მეკარე დაუხვდა.

ტაიმის ბოლო წუთზე „სპარტაკი“ მე-3 გოლს გადაურჩა – ჯორბენაძე მარცხნიდან შეიჭრა და რბილად დაარტყა, ბურთი ნელა წავიდა კარისკენ და ჭაფოძემ მიუსწრო, ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

შესვენების შემდეგ „სპარტაკმა“ ტემპს კიდევ უფრო მოუმატა და ზედიზედ რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელა.

მე-60 წუთზე, თორნიკე შარაშენიძემ თავით დაუგდო ბურთი გიორგი ჭოხონელიძეს, რომელმაც ახლოდან ძლიერად დაარტყა და მეკარე მიხეილ ალავიძემ საოცარი ბურთი მოიგერია. მალევე ალავიძემ უკვე ლაშა ჩაფიძის დარტყმული აიღო.

68-ე წუთზე, ნიკა ხუხიამ შეტევაში ჩართული დავით ლომაიას წინააღმდეგ დაარღვია თამაშის წესი – პენალტი. 11 მეტრიდან ჩაფიძემ ზუსტად დაარტყა – 1:2.

„სპარტაკს“ კიდევ 2 გოლი სჭირდებოდა და თითქოს ბოლო შტურმისთვის ემზადებოდა, მაგრამ ყრუ დაცვაში არც ბათუმელები ჩამდგარან და საკმაოდ ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. „სპარტაკს“ რეალური საგოლე მომენტი ერთხელაც არ მიცემია, ბათუმელებს კი კონტრშეტევაზე სამჯერ შეეძლოთ გატანა და ერთი გამოიყენეს კიდეც.

85-ე წუთზე მცველმა გიორგი კაჭკაჭიშვილმა თავით მოიგერია ბურთი და ფაქტობრივად, პირისპირ დატოვა ირაკლი ცნობილაძე, რომელსაც მცველი კი წამოეწია, მაგრამ შემტევმა მოასწრო და ბურთი ზვიად ლობჟანიძეს გადააწოდა, რომელმაც ზუსტად დაარტყა – 1:3.

**ვიტ ჯორჯია _ გურია 3:0**

1:0 კასრაძე (3), 2:0 გურეშიძე (66), 3:0 ჯანელიძე (70)

**ვიტ ჯორჯია**: დაუშვილი, ხურცილავა, დავლაშელიძე, ლანიაშვილი, კასრაძე, კორიფაძე, ვასაძე, გ.გურეშიძე, გ.ჯანელიძე (ვაშაკიძე 90), ზაქრაძე (ლობჟანიძე 60), ჩიმაკაძე

**გურია**: გოგუაძე, ზ.ჩხეტიანი, ჯანგიძე (სამსეიშვილი 46), ბაქრაძე, რ.ონიანი, ჩუენსუ, მაისაშვილი, ჩარგეიშვილი, მოსიაშვილი (კუკულაძე 46), კვერენჩხილაძე, გ.თოდუა

მასპინძლებს ელიტაში დასარჩენად მხოლოდ მოგება აწყობდათ, ლანჩხუთელები კი წაგების გარდა ნებისმიერი შედეგით უბრუნდებოდნენ უმაღლეს ლიგას. საბოლოოდ, ისე მოხდა, როგორც ეს ვეტერინარებს აწყობდათ.

ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა – გიორგი კორიფაძემ საჯარიმოში ჩააწოდა და შეტევაში ჩართულმა ტანმაღალმა ცენტრალურმა მცველმა ლაშა კასრაძემ თავით გაიტანა – 1:0.

66-ე წუთზე, გურამ გურეშიძემ მოწინააღმდეგს ბურთი მისსავე მოედანზე აართვა, მარცხნიდან ოდნავ ცენტრისკენ შეიწია და ზუსტად დაარტყა – 2:0.

70-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან კორიფაძემ ჩააწოდა და „გურიას“ კარის წინ მდგომმა გიორგი ჯანელიძემ ვარდნაში, თავით, ეფექტური გოლი გაიტანა – 3:0.

**სხვა მატჩები:**

„მერცხალი“ _ „სიონი“ 1:3

„გაგრა“ _ „ჩიხურა“ 2:1

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 14 | 8 | 2 | 4 | 25:15 | 26 |
| 2.დინამო(ბ) | 14 | 7 | 3 | 4 | 18:13 | 24 |
| 3.სიონი | 14 | 6 | 6 | 2 | 23:13 | 24 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 2 | 5 | 19:11 | 23 |
| 5.გურია | 14 | 6 | 5 | 3 | 22:21 | 23 |
| 6.სპარტაკი | 14 | 6 | 3 | 5 | 19:16 | 21 |
| 7.გაგრა | 14 | 3 | 4 | 7 | 14:21 | 13 |
| 8.მერცხალი | 14 | 0 | 1 | 13 | 3:33 | 1 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**შვედეთი. ალსვენსკა**

სუნდსვალდი-ელფსბორგი ........... 0:3
გაისი-გიოტებორგი ..................... 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-ჰაკა ................................ 3:0
მარიეჰამნი-ინტერი ...................... 2:1
მიუპა-ვაასა ................................. 1:0
ტპს-ჯჯკ ...................................... 2:3
ჰიკი-ჰონკა .................................. 3:0
აირო-ლახტი ................................ 0:2

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

სარანდი-ლანუსი .......................... 3:1

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

ბოსტონი-ფილადელფია ......... 101:85
სერიის ანგარიში .......................... 3:2
ოკლაჰომა-ლეიკერსი ............ 106:90
სერიის ანგარიში .......................... 4:1

**ჩოგბურთი**

**ატპ. რომი. თიხა. ფინალი**

ნადალი-ჯოკოვიჩი ................. 7:5;6:3

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

ნიუ ჯერსი-რეინჯერსი ................ 4:1
სერიის ანგარიში .......................... 2:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ეროვნულმა მუზეუმმა წლიური ანგარიში წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მუზეუმების საერთაშორისო დღეს ფართო საზოგადოებას წლიური ანგარიში და მუზეუმის ახალი ვებ-გვერდის წარდიგნება შესთავაზა, ფერწერის მოყვარულები კი ჰოლანდიური ფერწერის გამოფენაზე დაპატიჟა.**

**მუზეუმების საერთაშორისო დღეს, უკვე 30 წელზე მეტია მსოფლიო აღნიშნავს.**

– ეროვნული მუზეუმიც უერთდება ამ დღესასწაულს და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ეროვნული მუზეუმის ქართველ თუ უცხოელ მეგობრებსა და პარტნიორებს მუზეუმის დღესუ ულოცავს ეროვნული მუზეუმის ყველა თანამშრომლის სახელით. ჩვენ ამ დღეს წარმოვადგინეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის წლიური ანგარიში და მოვაწყეთ მუზეუმის ახალი ვებ-გვერდის პრეზენტაცია. რაც შეეხება ჰოლანდიურ გამოფენას, გამოფენისთვის შეირჩა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურიდან XVII–XIX საუკუნეების ჰოლანდიური ფერწერის 22 ნამუშევარი. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ჰოლანდიური ფერწერის თითქმის ყველა ჟანრი. პეიზაჟი, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, ჰოლანდიაში XVII საუკუნეში ჩაისახა. ჰოლანდიელი მხატვრები ინტერესდებიან დღის სხვადასხვა მონაკვეთის ან წელიწადის დროთათვის დამახასიათებელი შუქ-ჩრდილების ეფექტებით. გამოფენაზე მოსული დამთვალიერებელი გაეცნობა ტიპურ ჰოლანდიურ პეიზაჟებს, აგრეთვე დიდ ხელოვანთა – იაკობ რუისდალის, ადრიან ვან დერ ველდესა და იან ბატისტ ვენიქსის სკანდინავიურსა და იტალიზებულ პეიზაჟებს, – განაცხადა ანა ვერულაშვილმა.

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში შესვლა უფასო იყო.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურულმა განყოფილებამ წიგნის „საქართველო-ირანის კულტურული ურთიერთობათა ისტორიიდან–არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება XVI-XVIII საუკუნეები“ პრეზენტაცია მოაწყო, რომელიც საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის ოცი წლისთავს მიეძღვნა.

– ამ წიგნის ავტორი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ირინე კოშორიძე საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების უფროსი კურატორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. იგი წლების მანძილზე ატარებდა კვლევებს როგორც საქართველოში, ასევე სხვადასხვა ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებსა და მუზეუმებში ისლამური ხელოვნებისა და მუზეუმმცოდნეობის მიმართულებით. წიგნში განხილულია ისლამური ხელოვნების მხატვრული პრობლემები და ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა ცალკეული ასპექტები. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ქვეყნების ხელოვნების კოლექციებში დაცულ ფერწერისა და მინიატიურული ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა შექმნის ქრონოლოგიური სპექტრი ფართო, მხატვრული ღირებულება კი – ძალზე დიდია, – განმარტა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

წიგნში შესული რამდენიმე სტატია XVI-XIX საუკუნეების ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობებს და ამ ურთიერთობათა კონტექსტში განხილულ ზოგიერთ მხატვრულ ტენდენციას ეძღვნება, რომელთა შესწავლა-დახასიათება სამუზეუმო მასალის, მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებისა და წერილობითი წყაროების მონაცემების ურთიერთ შეჯერებით მოხდა.

– წიგნში პირველადაა განხილული ფართოდ, საერთაშორისო კონტექსტში, ეროვნულ მუზეუმში დაცული ისლამური კოლექციები, ის უმნიშვნელოვანესი ვიზუალური მასალა, რომლის კვლევის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ პირველი სამუზეუმო კოლექციების შექმნისას აღნიშნავდნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები.

წიგნი „საქართველო-ირანის კულტურული ურთიერთობათა ისტორიიდან-არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება XVI-XVIII საუკუნეები“ დაიბეჭდა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით, – გვითხრა ანა ვერულაშვილმა.

ირანული კულტურის გამოფენა მოეწყო საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა სასწავლო უნივერსიტეტშიც, სადაც წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი ლიტერატურა თანამედროვე ირანის ისტორიის, კულტურის და ყოფითი ცხოვრების შესახებ, გამოიფინა ხალხური რეწვის ნიმუშები და მდიდარი ფოტო მასალა. გამოფენა სახელწოდებით, „ირანი დღეს“ საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მაჯიდ სამადზადე საბერმა გახსნა. ელჩმა შეხვედრა სემინარიც გამართა სტუდენტებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის ირან-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების და ზოგადად, მიმდინარე საერთაშორისო ტენდენციების შესახებ. სტუდენტებს მისთვის კითხვების დასმის საშუალებაც მიეცათ.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, გურამ ქუთათელაძის რეტროსპექტიული გამოფენა გაიმართა. ექსპოზიცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო.

– გურამ ქუთათელაძე ქართველ მხატვართა იმ წრეს მიეკუთვნება, რომლებიც XX საუკუნის 50-იან წლების ბოლოს გამოვიდნენ შემოქმედებით ასპარეზზე და ფაქტიურად განსაზღვრეს თანამედროვე ქართული ფერწერის სახე. ეს იყო პერიოდი, როდესაც ათეული წლების განმავლობაში კომუნისტური დიქტატისაგან დათრგუნული შემოქმედებითი ენერგია გათავისუფლდა და ხელოვნებაში მხატვრული ფორმის გამომსახველობა უპირატესი გახდა შინაარსთან მიმართებაში. ფერწერაში თვალსაჩინო გახდა კოლორიტის, ფერის, ნახატის გამომსახველობითი საშუალებების ახლებურად წარმოჩენა. მის შემოქმედებაში ნათლად აისახა თანადროული ქართული ფერწერისათვის დამახასიათებელი ტენდენციები და ამასთან მან შექმნა მხატვრული მემკვიდრეობა გამორჩეული ორიგინალური ხელწერითა და მაღალპროფესიული ნიშნით, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

მხატვარი სიცოცხლეში იშვიათად იფინებოდა. პირველი პერსონალური გამოფენა 1981 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ თბილისსა და მოსკოვში შედგა. მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გასული საუკუნის 60-70 წლების ფერწერული ტილოები, როგორც კერძო, ასევე ხელოვნების მუზეუმის კოლექციებიდან.

– გურამ ქუთათელაძე მხატვარ აპოლონ ქუთათელაძის ოჯახში დაიბადა. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტში. მისი ნამუშევრები სხვადასხვა დროს გამოფენილი იყო იტალიაში, შვედეთში, გერმანიაში, ბელგიაში, საბერძნეთში, პოლონეთში, ლიტვაში, რუსეთში. მას მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. მხატვრის ნამუშევრები დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს საპატრიარქოს სურათების კოლექციაში, მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, მოსკოვის აღმოსავლეთის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, კიოლნის „ლუდვიგის“ მუზეუმში და, რა თქმა უნდა, კერძო კოლექციებში, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა ვალერი მიქავას ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „ენკაუსტიკა“ წარმოადგინა.

– მხატვარი ვალერი მიქავა უკვე ათი წელია, რაც ენკაუსტიკაში მუშაობს. მის მიერ არჩეული თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს კანონიკურ და რელიგიურ მოტივებს – ღვთისმშობლის ხატი, მაცხოვრის ხატი, წმინდა გიორგის ხატი, წილკნის ღვთისმშობლის ხატი, „იესოს ბავშვობა“, „ქალი და ლომი“, „თევზი“. ტექნიკა, რომელსაც მხატვარი იყენებს, მრავალეტაპობრივია. მხატვარი ცვილის საღებავებს ნამუშევრებისთვის თავად ამზადებს. მის მიერ 2009 წელს მოიხატა ანდრია პირველწოდებულის ტაძარი თბილისში, თანამონაწილეობით კი მაცხოვრის სახელობის ტაძარი გურიაში და კაცხის მონასტრის ტაძარი ჭიათურაში. იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ფერწერის ტექნოლოგიის ლაბორატორიაში, არის ამავე ლაბორატორიის ხელმძღვანელი. ჩვენს მიერ ორგანიზებული გამოფენის მიზანია, გააცნოს დამთვალიერებელს არაორდინალური ხედვით, ურთულესი ტექნოლოგიით შესრულებული ენკაუსტიკა. ეს გამოფენა დღევანდელ სინამდვილეში არსებული იშვიათი მხატვრული პროცესების, ტრადიციული და განახლებადი ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოხატულებაა, – გვითხრა ანა ვერულაშვილმა.

თბილისის ისტორიის მუზეუმში წარმოდგენილი იყო გამოფენა სახელწოდებით „სამი თაობა“, სადაც გამოიფინა ფოტოები გადაღებული ანჯეი პეჩოს (პოლონეთი),



ბაია ლომსაძისა და ზურაბ ხორავას (საქართველო) მიერ.

– ამ პროექტის იდეა დაიბადა პოლონელი ფოტოგრაფის, ანჯეი პეჩოს 2008 წლის შემოდგომაზე და 2010 წლის ზაფხულში, საქართველოს მთიანეთში მოგზაურობის შედეგად. პირველი მოგზაურობისას გადაღებული ფოტოები ავტორმა პოლონეთში გამოფინა სახელწოდებით, „საქართველო“ და მიუძღვნა აგვისტოს ომის თემას. „სამი თაობის“"გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, სწორედ, ის ფოტოები, რომლებიც იხილა პოლონელმა დამთვალიერებელმა. აგრეთვე გამოიფინა ორი ქართველი ფოტოგრაფის, ბაია ლომსაძისა და ზურაბ ხორავას ნამუშევრები. ბაია ლომსაძემ უმცროსი თაობა წარმოადგინა, რომლის მიერ შექმნილმა სახასიათო პორტრეტებმა შეცვალეს ავტორის დამოკიდებულება გარე სამყაროს მიმართ. საშუალო თაობასთან გაიგივებულია ანჟეი პეჩო, ხოლო უფროსი თაობის წარმომადგენელია ზურაბ ხორავა, პროფესიით ფოტოჟურნალისტი. ფოტოებზე მათ ასახეს თბილისის ხედები, ტაძრები და პორტრეტები, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში კი გაიხსნა ფოტო გამოფენა „მზერა კულტურული მემკვიდრეობისაკენ – იუნესკოს მიერ დაცული იტალიური კულტურის ძეგლთა 150 წლიანი ფოტოები“.

23 მაისს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი საერთაშორისო კონფერენციას მოაწყობენ, რომელსაც „იდენტობა და კულტურა: კლოდ ლევი-სტროსის მემკვიდრეობა“ ეწოდება. მოხსენებებს წაიკითხავს პროფესორი ჟან-პიერ მოენი.

– პროფესორი ჟან-პიერ მოენი გახლავთ სიძველეების ფრანგული მუზეუმის ყოფილი კონსერვატორი, საფრანგეთის მუზეუმების კვლევისა და რესტავრაციის ცენტრის დირექტორი და კე ბრანლის მუზეუმის კოლექციებისა და მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორი. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ადამიანის მუზეუმის განახლების სამუშაოებს. კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილია საუბრები კლოდ ლევი-სტროსთან, პარიზში მდებარე ადამიანის ისტორიის ახალი მუზეუმის მიმოხილვა. კონფერენციას კი დაასრულებს დებატები, რომელზეც დასწრება თავისუფალია და წარიმართება სინქრონული თარგმანი. სწორედ ჟან-პიერ მოენის მოხსენებებით იწყება საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის (ყოფილი დიუმას ცენტრი) მიერ ორგანიზებული კონფერენციების ციკლი სახელწოდებით, „იდენტობა და კულტურა: კლოდ ლევი-სტროსის მემკვიდრეობა“.

ამ კონფერენციების მიზანია, წარმოაჩინოს ჰუმანიტარული მეცნიერებების წვლილი კულტურათაშორისი ურთიერთობების შესახებ მუდმივ და ხანდახან ფეთქებად დებატებში. იგი განკუთვნილია როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე მათთვისაც, ვისაც სურს გაიღრმავოს ცოდნა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. საინოგურაციო მოხსენება ხაზს უსვამს კლოდ ლევი-სტროსის უზარმაზარ წვლილს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, – განაცხადა ანა ვერულაშვილმა.

ფრანგი ანთროპოლოგი და ეთნოლოგი, კლოდ ლევი-სტროსი 2009 წელს 101 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან გადამწყვეტი გავლენა იქონია XX საუკუნის მეორე ნახევრის ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე.

– ბრაზილიის ადგილობრივი ხალხების შესახებ მისი პირველი ნაშრომებიდან დაწყებული და 1949 წელს გამოცემული ნაშრომით „ნათესაური კავშირების ელემენტარული სტრუქტურები“ დამთავრებული, კლოდ ლევი-სტროსმა მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. მისმა შრომებმა რევოლუცია გამოიწვია ანთროპოლოგიაში და ღრმა კვალი დაამჩნია სოციოლოგიას, ლინგვისტიკას, ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიასაც კი, როგორც სტრუქტურალისტური აზროვნების ერთერთმა ფუძემდებელმა, – განმარტავს ანა ვერულაშვილი.



## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 2. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 3. „ბარსელონას“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 4. უღელტეხილი კავკასიონზე; 5. ხუჭუჭბეწვიანი დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 9. ულოტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 10. კავშირი, გაერთიანება; 14. სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო; 15. ფსონების ამკრეფი ტოტალიზატორში; 16. ინდიელთა გრძელი ვიწრო ნავი; 19. დიდი ბუ; 20. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე.

**თარაზულად**: 6. მომავლის გეგმები; 7. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 8. ძალოსნობის იარაღი; 11. ქართული ხალხური ცეკვა; 12. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 13. ეგვიპტელი ქრისტიანები; 17. პატარა იუმორისტული მოთხრობა; 18. ქართველი ძიუდოისტი ოლიმპიური ჩემპიონი; 22. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი; 24. თურქმენეთის დედაქალაქი; 25. უფროსი მოსამართლე ძველად.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ურუგვაი; 2. ბასტრი; 3. ბაბანეური; 4. ხვიფლი; 5. რისლინგი; 7. აბიო; 11. ტაიფუნი; 13. ადიდასი; 15. ოპეკი; 16. კოლიე; 18. სინჯი; 19. გენია.

**თარაზულად:** 6. რეგატა; 8. გალუაზი; 9. პრიმასი; 10. ვიკონტი; 12. კიურე; 14. გიბონი; 17. რეიხსტაგი; 20. ქლუხორი; 21. ეკლერი; 22. ჯეჯილი; 23. ფეხბურთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქუთაისი; 2. თეორემა; 3. ადიულტერი; 4. სტელსი; 5. ორვილე; 9. დასტა; 10. პრატერი; 14. პრიორიტეტი; 15. მორჩილაძე; 16. იდილია; 19. ფანდური; 20. კამორა; 21. პითონი.

**თარაზულად:** 6. ვუნდერკინდი; 7. როიტერი; 8. ბაიერი; 11. მარსელი; 12. ამირა; 13. გერგეტი; 17. გოლზუორთი; 18. ანდალუზია; 22. შარდონე; 23. იდიოტია; 24. ერისიონი; 25. ცერცვაძე.

# ჩინური კონტრაბანდული საქონელი ამერიკის ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის




„ამერიკის შეიარაღებულ სამხედრო სისტემაში ფართოდ გავრცელებულია ყალბი, ჩინური წარმოების დეტალების ელექტომოწყობილობებში გამოყენება, რომელიც კონტრაბანდული გზით ხვდება ამერიკულ ბაზარზე“, - ნათქვამია აშშ- სენატის სპეციალური კომისიის დასკვნაში, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იკვლევდა ამ საქმეს.

როგორც დასკვნიდან ჩანს, ყალბ დეტალებს ელექტრომოწყობილობებში ძირითადად ელექტრონული ჩიპები წარმოადგენს, რომლებიც იმ კომპიუტერებშია განლაგებულნი, რომლებიც რაკეტებს, თვითმფრინავებსა და წყალქვეშა ნავებს მართავენ. კომისიამ კი ასეთი კონტრაბანდული დეტალი, ერთი წლის განმავლობაში მილიონამდე აღმოაჩინა.

მოხსენების ავტორთა აზრით, ყალბი ელექტრომოწყობილობების 70% ამერიკაში ჩინეთიდანაა შემოსული, დანარჩენი ბრიტანეთიდან და კანადიდან, კონტრაბანდული დეტალების არსებობამ სამხედრო სისტემაში, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოება შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს.

# რუსეთის სათათბირო მიტინგის შესახებ კანონის გამკაცრებას განიხილავს

რუსეთის სათათბირო, პირველი მოსმენით, სკანდალურ კანონპორექტს განიხილავს, რომელიც მასობრივი აქციებისა და მიტინგის მსვლელობისას ჯარიმის მნიშვნელოვნად გაზრდას ითვალისწინებს.

კანონპროექტი, რომელიც „ედინაია როსიამ“ წარადგინა, თავდაპირველად ითვალისწინებდა ჯარიმის ნახევერ მილიონ რუბლამდე გაზრდას, თუმცა ოპოზიციონერთა ზეწოლით, ჯარიმის თანხამ დაიწია.

– ოფიციალური პირებისთვის იგი 600.000 რუბლი იქნება, იურიდიული პირბისთვის 500.000 რუბლი, ხოლო ფიზიკური პირებისთვის 300.000 რუბლი, - განაცხადა დუმის საკონსტიტუციო საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ პლიგინმა.

ამ კანონის განხივლა თავიდან 18 მაისს იგეგმებოდა, თუმცა ოპოზიციური ფრაქციების ზეწოლით გადაიტანეს, რომლებიც სხდომის ბოიკოტით იმუქრებოდნენ.

რუსეთის კომუნისტები, ლიბერალ-დემოკრატები და „სპრავედლივაია როსია“ განხილვის გადატანას მოითხოვდნენ, რასაც დამატებითი კონსულტაციების ჩატარების აუცილებლობით ხსნიდნენ. როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად ამ კანონის შესწორება ჯარიმის რამდენიმე ათასიდან, მილიონნახევარ რუბლამდე გაზრდას ითვალისწინებდა. ოპოზიციის ზეწოლის შედეგად, „ედინაია როსიამ“ განაცხადა, რომ ჯარიმას მნიშვნელოვნად შეამცირებდა. მიუხედავად ამ დათმობისა, ოპოზიციურმა პარტიება განაცხადეს, რომ კანონპროექტს მხარს მაინც არ დაუჭერენ. ამასთან კომუნისტებმა და ლიბერალებმა გადაწყვიტეს სხდომის დარბაზი არ დატოვონ, „სპრავედლივაია როსიას“ წევრები კი აპირებენ სხდომას ბოიკოტი გამოუცხადონ.

# ჩიკაგოს სამიტის შედეგები

ჩიკაგოში ნატოს სამიტი დასრულდა, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ავღანეთში ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სტრატეგიას, რომელიც 2014 წლისათვის საბრძოლო ოპერაციის დასრულებას და საერთაშორისო ძალების გაყვანას ითვალისწინებს.




სამიტის მეორე დღე ძირითადად ავღანეთის საკითხს მიეძღვნა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რეპორტიორებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ არსებული გეგმის მიხედვით ავღანეთის ძალები უსაფრთხოებაზე კონტროლს 2013 წელს გადაიბარებენ, მომდევნო წელს კი უცხოური ძალების გაწვევა დაიწყება. აღნიშნულ გეგმას თავად ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაიც ეთანხმება.

– ჩვენ საბოლოოდ შევათანხმეთ გეგმა, რაც ნიშნავს რომ უკვე 2014 წელს ამერიკა იმდენს აღარ დახარჯავს ავღანეთზე, რამდენსაც დღეს ხარჯავს. იგი ფულს დაზოგავს, ჩვენ კი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ვიზრუნებთ. 2014 წელს ჯარების გაყვანა ავღანეთიდან კარგია ავღანეთისათვის და კარგი იქნება ჩვენი მოკავშირე ქვეყნებისთვის, - აღნიშნა ყარზაიმ „სი-ენ-ენ“-ისათვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ყარზაიმ ასევე აღნიშნა, რომ ის ავღანეთის უსაფრთხოების ძალები უსაფრთხოების კონტროლის გადაბარებისათვის „სრულყოფილად“ იქნებიან მზად.

აშშ–ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჩიკაგოს სამიტის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნატო ავღანეთს უსაფრთხოებაზე სრულ კონტროლს 2013 წლის შუა მონაკვეთში გადასცემს.

მისი თქმით, 2014 წლის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ქვეყნიდან ნატოს ჯარების გამოყვანა მოხდება, ალიანსი უზრუნველყოფს ავღანეთის სამხედრო ძალების გაწვრთნასა და მომზადებას.

აშშ–ს პირველმა პირმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების ყველა წევრი ქვეყანა საერთო ძალებით შეეცდება ავღანეთში მისიის დასრულებას.

– არცერთი ჩვენგანი არ იტყვის უარს საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე, – განაცხადა ობამამ.

პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აშშ–ს პრეზიდენტმა ავღანეთში უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებულ რთულ ვითარებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამ კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი.

ბარაკ ობამამ პრესკონფერენციაზე ასევე განაცხადა, რომ პაკისტანის პრეზიდენტთან, ასიფ ალი ზარდარისთან გამართული არაოფიციალური შეხვედრის ფაგლებში გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ნატოსათვის პაკისტანში სატრანზიტო გზის გახსნის შესახებ, რათა ალიანსმა კვლავ განაგრძოს ქვეყნის გავლით ტვირთის გადატანა ავღანეთში. პაკისტანმა ნატოს სატრანზიტო გზა საკუთარ ტერიტორიაზე გასული წლის ნოემბერში ჩაუკეტა, მას შემდეგ, რაც 24 პაკისტანელი სამხედრო მოსამსახურე ალიანსის მიერ განხორციელებულ საჰაერო დარტყმას ემსხვერპლა. რასმუსენის თქმით, ალიანსი ავღანელ ძალებს საბრძოლო მისიის შემდეგაც დაეხმარება.

ნატოს გენერალურმა მდივანმა დაადასტურა, რომ ნატოს წევრი ქვეყნები 2014 წლის შემდეგ ავღანეთისთვის ყოველწლიურად 4 მილიარდის გამოყოფაზე შეთანხმდნენ. რასმუსენმა ასევე აღნიშნა, რომ მას იმედი აქვს პაკისტანი ავღანეთთან საზღვარს მალე გახსნის, რაც საერთაშორისო ძალების მომარაგებისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

წინა დღის შეხვედრის მსგავსად დემონსტრაციების გარეშე არც ორშაბათის შეხვედრას ჩაუვლია. ამერიკის პრეზიდენტმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს და პოლიციას შესრულებული მძიმე სამუშაოსათვის.

# ირანმა აზერბაიჯანიდან ელჩი გაიწვია



ირანმა აზერბაიჯანიდან საკუთარი ელჩი მუჰამედ ბაგირა ბაჰრაამი გაიწვია. ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ერთი დღით ადრე საელჩომ განაცხადა, რომ დაუშვებელია მთელი მსოფლიოს შიიტების ლიდერ ალი ჰამენეის შეურაცხყოფა, რომელსაც ადგილი ბაქოში, ირანის საელჩოს წინ გამართულ საპროტესტო მიტინგის დროს ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ წინა დღეებში ბაქოში ირანის საელჩოს წინ ანტიირანული აქციები მიმდინარეობდა, რომლის ორგანიზატორიც სამხრეთ აზერბაიჯანის ნაციონალური დამოუკიდებლობის პარტია იყო. აქციის მონაწილეები აზერბაიჯანის წინააღმდეგ ირანული პროვოკაციების შეწყვეტას ითხოვდნენ.

აქციებზე დემონსტრანტებს ირანის სულიერი ლიდერისა და პრეზიდენტის ფოტოები ჰქონდათ გამოტანილი კრიტიკული წარწერებით.

საქმე ეხება, ქალაქ თავრიზში ჩატარებულ ანტიაზერბაიჯანულ აქციებს, სადაც აქციის მონაწილეები აზერბაიჯანში „სიონისტური ევროვიზიის“ ჩატარებას აპროტესტებდნენ. თავრიზის აქციებთან დაკავშირებით შეშფოთება აზერბაიჯანის დიპლომატიურმა უწყებამ გამოთქვა.

# სომხები მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ ინფორმაციას მობილურით მიიღებენ

სომხეთის მოქალაქეები მალე, მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ მობილური ტელეფონების საშუალებით მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს მიიღებენ.

ამის შესახებ განცხადება სომხეთის სეისმოლოგიური დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსმა გრაჩ პეტროსიანმა გააკეთა.

– ჩვენს რაიონში სეისმური აქტივობა შეინიშნება, მარტო მაისის თვეში რამდენიმე მიწისძვრა იქნა დაფიქსირებული, ძირითადად საზღვრისპირა რაიონებში, რაც მოსახლოების შეშფოთებას იწვევს.



იაპონელებთან ერთობლივად შემუშავებული პროგრამის მიხედვით, მალე სომხეთის მოქალაქეები, მობილური ტელეფონების საშუალებით მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს მიიღებენ, ამიტომაც მოვუწოდებთ სომხეთის მოქალაქეებს , არ აჰყვნენ პანიკას და მხოლოდ ჩვენს ესემესებს დაელოდონ, - აცხადებენ სეისმოლოგიური დაცვის ეროვნულ სამსახურში.

შეგახსენებთ, რომ 1988 წლის 7 დეკემბერს სომხეთის ჩრდილო-დასავლეთში, სპიტაკში, 10 ბალიანი მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის შედეგად მთლიანად დაინგრა ქალაქი სპიტაკი, 58 სოფელი ნაწილობრივ ქალაქები - ლენინაკანი, სტეპანავანი, კიროვაკანი და 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. დაიღუპა, დაახლოებით, 25 ათასი კაცი, ხოლო 514 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

მიწისძვრამ სომხეთის ტერიტორიის თითქმის 40% მოიცვა. მოსალოდნელი ავარიის რისკის გამო შეჩერდა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის მუშაობა.

# ირანის ბირთვული ობიექტების ინსპექტირებაზე შეთანხმება მიღწეულია




ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვალმა იუკია ამანომ განაცხადა, რომ თეირანთან ირანის ბირთვული ობიექტების ინსპექტირების შესახებ შეთანხმება მიღწეულია.

– შეთანხმებას უახლოეს დროში მოეწერება ხელი, – განაცხადა ამანომ ჟურნალისტებთან საუბრისას. მისივე თქმით, შეთანხმების დეტალებზე კიდევ არის სამუშაო, თუმცა ეს დეტალები პრინციპული მნიშვნელობის არ არის.

შეგახსენებთ, რომ ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელება დაიწყო 1967 წელს, როდესაც აშშ-მა ირანის შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის 5 მეგავატის სიმძლავრის ატომური რეაქტორი მისცა.

რეაქტორების მშენებლობაში ტექნოლოგიურ დახმარებას ირანს შემდგომში უწევდნენ გერმანია და საფრანგეთი. ირანმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას ხელი მოაწერა 1968 წელს, ხოლო რატიფიცირება გაუკეთა 1970 წელს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

## პოლიკო მათითაიშვილის მონატრება



უშენოდ დგება 24 მაისი, პოლიკო!

ჩვენი ერთად ყოფნის, ჩვენი ბედნიერების, ჩვენი ზეიმისა და სიხარულის მომტანი მაისი. შენ ხომ ჩვენი საფიცარი, სალოცავი და სანთელი იყავი, ჩვენო სიამაყევ! ნატვრა აგიხდა, პოლო, დაბრუნდი შენს საყვარელ გურიაში – შენს ქვიანში, სადაც ისევ დარბის შენი ფეხადგმული ბავშვობა. ყველაზე რთული და გაუსაძლისი, სულის ტკივილი ყოფილა, პოლიკო. ამ ტკივილს შენი მონატრება ჰქვია. გვენატრები უსაშველოდ, გვენატრება შენი ლამაზი თვალების შემოხედვა, შენი სიცილი, შენი სითბო. გაუსაძლისი ტკივილებისგან გატანჯული აქეთ გვამშვიდებდი და გვშველოდი, გვანუგეშებდი. ეს ზამთარი როგორმე გადავაგოროთ და ისევ ერთად ვიქნებითო, ოცნებობდი. თურმე დღეები გქონია დათვლილი. შენი ღირსებითა და უჩვეულო სულის სიმტკიცით გააოცე ყველა. სიკვდილსაც არ მოუხარე ქედი. შეხვდი ამაყად და უსაყვედუროდ, მშვიდად და ლამაზად. წახვედი და შენდა უნებურად თან გაიყოლე ჩვენი დაგლეჯილი გულები.

უშენოდ მოვიდა მაისი, პოლო!

ჩვენი ერთად ყოფნის, ჩვენი ბედნიერების, ჩვენი ზეიმისა და სიხარულის მომტანი მაისი...

*შენები*

---

მეუღლე სვეტლანა, შვილები ჯარჯი, ნინო, ლაშა, ეთერი, ელიზბარი, და როზა (რიდი) ჯოლოგუა, ძმები ანატოლი და ბორისი იუწყებიან

**ვლადიმერ ჯოლოგუას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 22, 23 მაისს, 18-20 საათზე, ტიციან ტაბიძის ქ.№10.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 24 მაისს, 14 საათზე, ვაკის წმინდა გიორგის ეკლესიიდან (ვაკის სასაფლაოს ქვედა შესასვლელი, რუსეთის საელჩოს გაგრძელებაზე).

---

სამშობიარო „იმედის კლინიკა“ სამძიმარს უცხადებს ექიმ გელა ბარბაქაძეს სიმამრის

**ავთანდილ ფორჩხიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბს უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 23 მაისი**

**07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.15** დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"არც ასე, არც ისე"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** ღამის საუბრები **00.00** მხ.ფ.**"ალფი"** (**15**) (ჯ. ლოუ) **01.25** მოამბე **02.10** მხ. ფ.**"შეუსრულებელი მისია-2"** (ტ. კრუზი) **04.20** მხ. ფილმი **"წყალზე ბევრად მეტი"** **06.00** დოკ.ფ."მსოფლიო ოდესეები"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **20.00** მხ. ფილმი **"იმპერია"** **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ბირთვი"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ **14.40** რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) **15.20** მან სან კანის ჩემპიონთა (გან.) **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **23.00** პოლიციის აკადემია **00.00** რემონტი **01.00** მხ. ფილმი **"ბოროტების სავანე-3"** (პ. კრუსი) **03.05** მხ. ფილმი **"კეთილი მწყემსი"** (კ. სლეიტერი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** თქვენი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ.**"ველური ყვავილი"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **09.45, 12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ.**"მისი სულის მუსიკა"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **13.50** დოკ. ფილმი "ისინი" **15.15** სერ.**"სკოლის მეგობრები"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ. ფილმი "შიო მღვიმელი". **11.00** მოკ. ფილმი **"მე მხოლოდ მგზავნილი ვარ"**. **11.05** დოკ. ფილმი "წმინდ მღვდელმთავარი ნიკოლოზი". **11.20** მგზავრები წუთისოფლისა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები. **13.20** კონცერტი – ლილიკო ნემსა"ე. **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.30** კვირიაკე **18.10** საქართველო არის ესე. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **18.53, 22.50** ერთი ნივთის ისტორია. **19.20** ეთნოგრაფია. **19.35** მხ. ფილმი **"ხსოვნა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "მიხეილ თუმანიშვილი". **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთი დღე მონასტერში **01.20** მხ. ფილმი **"ოქროს ციებ – ცხელება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 maisi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6219 |
| ევრო | 2,0582 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5626 |
| რუსული რუბლი | 0,0549 |

**ამინდის პროგნოზი 23 მაისისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9





8 მაისიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი

მასონები



გამოსულია:

პირველი ტომი ტირანები



მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი



მესამე ტომი კანიბალიზმის ისტორია




გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

4 მაისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად



ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

პირველი ტომი

ფასი 6 ლარი


## fcnhjghjuyjpb

@# ვფბცბცსeბც

.ღცჯფვ უფბსღფჯბცრბყცს=

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — არ იდარდოთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — ნურავის ენდობით, საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ლომი** — მალე ფულის პრობლემა არ გექნებათ. **ქალწული** — ვითარება შეიცვალა, ახლა ყურადღებით უნდა იყოთ. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, მთავარია კარგად მოირგოთ. **ღრიანკალი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, მხოლოდ გულს დაუჯერეთ. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, მაგრამ მაინც არ გაფლანგოთ. **მერწყული** — თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტიც არ ვარგა. **თევზები** — თქვენი საჩუქარი გზაშია, მალე მიიღებთ.

უბცეპღტ,ს ,ტცყბტპ ცქტს=

## h3xცეჯ3ებ ფ

**შვეულად**: 1. სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება; 2. ბრიტანული ყველი; 3. გზის გადასაკეტი მოწყობილობა საკონტროლო გამშვებ პუნქტთან; 4. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 5. აფრიკული მაიმუნი; 7. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. უნგრეთის პირველი მეფე, ქრისტიანობის დამკანონებელი ქვეყანაში. 13. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 15. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 16. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 18. თვალის ფერადი გარსი; 19. სკულპტურული ქმნილება.

**თარაზულად**: 6. სამძებრო პოლიცია საფრანგეთში; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. სუდანის დედაქალაქი; 10. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 12. კვების გარკვეული რეჟიმი; 14. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი; 17. მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 20. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 21. ზუსტი ელექტრონული ხელსაწყოების დასამზადებლად გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 22. ამერიკული ზებგერითი, სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 23. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი რაჭაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## ბუბა ტყავაძე: იურისტები უკვე მუშაობენ



მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონად „ზესტაფონი“ გამოაცხადა, ცხადია, თავისი აზრი მოჰყვა რუსთავის „მეტალურგის“ მხრიდანაც. კლუბის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

**ბუბა ტყავაძე:**

— დებულებაში წერია, რომ პირველი ეტაპის შემდეგ, გუნდებს ბურთები და ქულები გადაჰყვებათ და არა მოგებები. თუ არ გადაჰყვებათ, ძველი მოგებები როგორღა ითვლება? ნამდვილად არ ვიცი, ვის მოუვიდა თავში ასეთი უაზრო გადაწყვეტილების მიღება. ჩვენი პოზიცია ცალსახაა — აღმასკომის გადაწყვეტილებას უსამართლოდ მივიჩნევთ და მის გაპროტესტებას ვაპირებთ. ჩვენი იურისტები ამ საკითხზე უკვე მუშაობენ.

ტყავაძის თქმით, ის ზვიად სიჭინავას შეხვდა და მისგან ასეთი პირობა მიიღო:

— პრეზიდენტმა მითხრა — თუ „ზესტაფონი“ ვერ დაამტკიცებს, რომ მერანი-მეტალურგი გარიგებული იყო, მაშინ „ზესტაფონი“ მოიხსნება ჩემპიონატიდან. ანუ, ან ჩვენ მართლაც გარიგებულ მატჩში მივიღეთ მონაწილეობა, ან „ზესტაფონი“ მოიხსნება.

აქ, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი სიტუაციაა — კლუბის პრეზიდენტის სიტყვების გამო სანქციები გატარებული აუცილებლად იქნება, მაგრამ უფრო ფინანსური კუთხით. კლუბის პრეზიდენტის სიტყვებმა შედეგზე არ უნდა იმოქმედოს.

მ. ჟ.

## ევრო 2012-ზე შიშველი თავდასხმა განახორციელეს



კიევის შემდეგ დნეპროპეტროვსკში ქალთა უფლებების დამცველი მოძრაობის შიშველი წევრები ევრო 2012-ის თასს მეორედ დაესხნენ თავს.

თავდასხმაში „ფემინის“ აქტივისტ ინა შევჩენკოსთან ერთად ჟურნალ „მარი კლერის“ ჟურნალისტი ფრანგი ემა ალესიც მონაწილეობდა. 46 წლის ჟურნალისტი, როგორც აღმოჩნდა, მხარს უჭერს „ფემინს“ და ისიც იბრძვის სექსიზმისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ.

პოლიციამ ორივე დააკავა და კამერა და ფოტოაპარატი ჩამოართვა.

ცოტა ხნის წინ, უკრაინელი ფემინისტების წინააღმდეგ რიგითი გულშემატკივრები გამოვიდნენ და მათი დაოკება კანონის ძალით მოითხოვეს. ამის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატში ფულის ჩამდები ბიზნესმენები დაირაზმნენ და უკრაინის პოლიციას ოფიციალურად მოსთხოვეს „ფემენის“ უკანონო ორგანიზაციად გამოცხადება. უკრაინელი სამართალდამცველები ჯერ გადამჭრელი ზომების მიღებას არ ჩქარობენ, რადგან მსოფლიო ფემინისტური მოძრაობების გადამტერება არ უნდათ.

გ. მ.